

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ
თავი I

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები
მუხლი 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი
თანდართული რედაქციით:

ლარებში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
შემოსავლები	16021692	18316460	20770000
გადასახადები	7667648	8831460	10370000
გრანტები	8000000	9185000	10000000
სხვა შემოსავლები	354044	300000	400000
ხარჯები	17317775	19362279	22128975
შრომის ანაზღაურება	7915905	8130390	9469145
საქონელი და მომსახურება	3129487	3409279	3947945
სუბსიდიები	3358368	4687910	4636006
გრანტები	115582	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	2289278	1934196	2164300
სხვა ხარჯები	509155	1200504	1911579
საოპერაციო სალდო	-1296083	-1045819	-1358975
არაფინანსური აქტივების ცვლილება	613127	481090	441640
ზრდა	629354	481090	441640
კლება	16227	0	0
მთლიანი სალდო	-1909210	-1526909	-1800615



ფინანსური აქტივების ცვლილება	-1909210	-1526909	-1800615
ზრდა	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	0	0	0
კლება	1909210	1526909	1800615
ვალუტა და დეპოზიტები	1909210	1526909	1800615
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0
კლება	0	0	0
ბალანსი	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

თავი II

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები
მუხლი 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 20 770 000 ლარის ოდენობით. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები.

ლარებში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
შემოსავლები	16021692	18316460	20770000
გადასახადები	7667648	8831460	10370000
გრანტები	8000000	9185000	10000000
სხვა შემოსავლები	354044	300000	400000

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

მუხლი 3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები 10 370 000 ლარის ოდენობით.

ლარებში

შემოსულობების კოდები	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
	გადასახადები	7667648	8831460	10370000
11111	საშემოსავლო გადასახადი	7667648	8831460	10370000
113	ქონების გადასახადი	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.



მუხლი 4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები
 ფინანსური დახმარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს 10 000 000 ლარი.
გრანტი

ლარებში

შემოსულობებისკოდები	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
13	გრანტი	8000000	9185000	10000000
132	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები	0	0	0
1321	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	0	0	0
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	8000000	9185000	10000000
1331	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	8000000	9185000	10000000
1332	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-რს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

მუხლი 5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 400 000 ლარის ოდენობით.
სხვა შემოსავლები

ლარებში

შემოსულობების კოდები	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავალი	354044	300000	400000
141	შემოსავლები საკუთრებიდან	354044	300000	400000
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0	0	0
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	0	0	0
144	ნებაყოფილებითი ტრანსფერები	0	0	0
145	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-რს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

თავი III
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია
მუხლი 6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები



განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები 22 128 975 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ლარებში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
ხარჯები	17317775	19362279	22128975	0
შრომის ანაზღაურება	7915905	8130390	9469145	0
საქონელი და მომსახურება	3129487	3409279	3947945	0
სუბსიდიები	3358368	4687910	4636006	0
გრანტები	115582	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	2289278	1934196	2164300	0
სხვა ხარჯები	509155	1200504	1911579	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ორგანიზაციულ კრილში

ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
01 00	უმაღლესი საბჭო	2018432	2492920	2895400	0
02 00	მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	2022092	2293058	2505680	0
05 00	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1492905	2050725	2438750	0
06 00	განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	4275413	3767320	4097250	0
08 00	ზემო აფხაზეთში - აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა	208012	246290	293760	0
10 00	იუსტიციის დეპარტამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	414698	0	0	0
11 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო	904949	2495920	4300051	0
12 00	სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი	746172	0	0	0
13 00	მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში	853676	117100	0	0
14 00	მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის	508287	79699	0	0



	რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში				
15 00	მთავრობის წარმომადგენლობა ადმოსავლეთ საქართველოში	1112905	158745	0	0
16 00	საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები (ფონდები)	0	100000	155000	0
18 00	აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	2272315	4527402	3980404	0
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტერგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	487919	1033100	1462680	0
	სულ:	17317775	19362279	22128975	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-რს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

მუხლი 7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 441 640 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 441 640 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
01 00	უმადლესი საბჭო	149100	68500	17000	0
02 00	მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	128294	130720	144393	0
05 00	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	74559	15300	0	0
06 00	განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	69576	4150	8300	0
08 00	ზემო აფხაზეთში - აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა	1330	1300	2000	0
10 00	იუსტიციის დეპარტამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	1225	0	0	0
11 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იმულებით გადაადგილებულ პირთა - დევნოლთა სამინისტრო	6013	9600	49060	0
12 00	სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ზუნებრივი რესურსების დეპარტამენტი	9191	0	0	0
13 00	მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის	2659	0	0	0



	რეგიონში				
14 00	მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	6032	0	0	0
15 00	მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში	4689	0	0	0
18 00	აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	171122	129420	213787	0
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	5564	122100	7100	0
	სულ	629354	481090	441640	0

ბ) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება თანდართული რედაქციით:

ლარებში

შემოსულობების კოდები	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
31	არაფინანსური აქტივები	16227	0	0	0
311	ძირითადი აქტივები	16227	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-რს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

მუხლი 8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 22 570 615 ლარის ოდენობით.

ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
01 00	უმაღლესი საბჭო	2167532	2561420	2912400	0
02 00	მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	2150386	2423778	2650073	0
05 00	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1567465	2066025	2438750	0
06 00	განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	4344989	3771470	4105550	0



08 00	ზემო აფხაზეთში - აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა	209341	247590	295760	0
10 00	იუსტიციის დეპარტამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	415923	0	0	0
11 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო	910962	2505520	4349111	0
12 00	სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ზუნებრივი რესურსების დეპარტამენტი	755363	0	0	0
13 00	მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში	856335	117100	0	0
14 00	მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	514319	79699	0	0
15 00	მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში	1117594	158745	0	0
16 00	საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები(ფონდები)	0	100000	155000	0
18 00	აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	2443437	4656822	4194191	0
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	493483	1155200	1469780	0
	სულ:	17947129	19843369	22570615	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-რს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

მუხლი 9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	12471317	12336430	14226187	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	12471317	12336430	14226187	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	12471317	12236430	14071187	0



70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	100000	155000	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობასაერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	365171	1836489	1772795	0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	138577	912439	460495	0
70421	სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან, ვეტერინარული, მცენარეთა დაავ. საწინააღმდეგო და სხვა მომსახურება	138577	912439	460495	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	226594	924050	1312300	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	916541	1410000	1705000	0
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობ. და აპარატები	0	0	0	0
7072	ამბულატორიული მომსახურება	485114	393065	380000	0
7073	საავადმყოფოების მომსახურება	107732	96000	26000	0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	69531	23870	0	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	254164	897065	1299000	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2817226	2669300	2963523	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	237745	22000	57279	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2143597	2138400	2283301	0
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	250000	330500	397603	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება	185884	178400	225340	0
7086	სხვა სახის არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0	0	0	0
709	განათლება	572409	733150	896110	0
7093	პროფესიული განათლება	0	0	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	572409	733150	896110	0
710	სოციალური დაცვა	804465	858000	1007000	0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0	0	0	0
71012	შეზღუდული შესაძლებ. მქონე პირთა სოციალური დაცვა	0	0	0	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება	804465	858000	1007000	0



	კლასიფიკაციას				
	სულ:	17947129	19843369	22570615	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

თავი IV

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 1 800 615 ლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

მუხლი 11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივები
1. განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1 800 615 ლარის ოდენობით.

ლარებში

ფინანსური აქტივების ცვლილება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
ზრდა	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	0	0	0
კლება	1909210	1526909	1800615
ვალუტა და დეპოზიტები	1909210	1526909	1800615

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

მუხლი 12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ლარებში

ვალდებულებების ცვლილება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0	0	0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 7 აპრილის კანონი №04-ს - ვებგვერდი, 12.04.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 29 ივლისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 02.08.2021 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის 11 ნოემბრის კანონი №19-ს - ვებგვერდი, 12.11.2021 წ.

თავი V

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
მუხლი 13. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსაზღვრული პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და მესამის შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:



1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტია აფხაზეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა, მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

1.1 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურად დაუცველ პირთა (მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა და ხანდაზმულთა) სათემო ცენტრი - პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02) (ამოღებულია)

1.2 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)

სამინისტროს მიერ აფხაზეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მრავალწლიანი შესწავლისა და დასაბუთებული ანალიზის შედეგების საფუძველზე განსაზღვრულია ის ძირითადი აუცილებლობები, რაც ამბულატორიულ-საკონსულტაციო და სადიაგნოსტიკო სფეროში მოქალაქეთათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

ის გარემოება, რომ დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, პროგნოზულად ჯანმრთელობის შემდგომი გაუარესების მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნება, განსაზღვრავს გაცილებით მეტ მოთხოვნას სამედიცინო სერვისის იმ ცალკეულ სახეებზე, რაც სახელმწიფოს მიერ დღეისდღეობით ჯერ კიდევ არ ფინანსდება.

დადგენილია, რომ აფხაზეთის მოსახლეობის სამედიცინო აქტივობა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია (არაუმეტეს 45-50%). ე.წ. „დევნილთა სოციალური თვითიზოლაციის ფენომენთან“ ერთად ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამედიცინო სერვისის ცალკეულ სახეებზე (მათ შორის, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დონეზეც) მოქალაქეთა ფინანსური ხელმიუწვდომლობა. ეს გარემოება გარკვეული რისკების შემცველია, რადგან მასზეა დამოკიდებული დაავადებათა გამოვლინების ვადები, დიაგნოზის ვერიფიცირება და მკურნალობის სწორი ტაქტიკა, ვინაიდან, დაგვიანებულ შემთხვევებში კონკრეტული პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის პროგნოზი, ხშირ შემთხვევებში არაკეთილსაიმედო ხდება.

ასეთ ვითარებაში და აფხაზეთის მოსახლეობის დაბალი სამედიცინო აქტივობის გათვალისწინებით, არსებით მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი სამედიცინო დახმარებით ეფექტური უზრუნველყოფა, რასაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შესაბამის, დასაბუთებულ პროგრამულ ჯანდაცვით ღონისძიებათა შემუშავება და სწორი მენეჯმენტის პირობებში რეალიზაცია და რაც, საბოლოო ჯამში, მთავარ შედეგზე – ჩვენი დევნილი თანამემამულეების და ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე იქნება ორიენტირებული.

აფხაზეთის მოსახლეობის ამბულატორიულ - საკონსულტაციო და სადიაგნოსტიკო, ასევე, სამკურნალო დახმარების ცალკეული სახეებით უზრუნველყოფა გულისხმობს საპროგნოზო პერიოდში ამბულატორიული დახმარების მრავალკომპონენტური პროგრამის რეალიზებას კვალიფიციური, სპეციალიზებული და მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების და მკურნალობის იმ სახეებით, რაც ჯერ კიდევ დარჩენილია ცენტრალური (სახელმწიფო) ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა.

პროგრამის კომპონენტების განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება მათ ეფექტურობას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე/სიცოცხლის გახანგრძლივებაზე მათი რეალური პოზიტიური ზემოქმედების ხარისხს და სხვა იმ დადებით მომენტებს, რაც ვითარების კონტროლირებად სივრცეში მოქცევისთვის და დინამიკაში გაუმჯობესებისთვისაა აუცილებელი.

პროგრამის კომპონენტებად რეალიზებული იქნება:

* ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფია (სხვადასხვა სახეები);

* ენდოსკოპიური გამოკვლევების ცალკეული სახეები;

* დოპლეროგრაფია;



- * მხედველობის ორგანოს და სისხლის მიმოქცევის სისტემის ორგანოთა სკრინინგული გამოკვლევები;
- * სტომატოლოგიური ორთოპედიული პროთეზირება;
- * სამკურნალო რეაბილიტაცია და აბილიტაცია;
- * მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიულ-სადიაგნოსტიკო კომპონენტი; რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა;
- * ამბულატორიული პროფილის სხვა მიმართულებები /კომპონენტები.

პროგრამის სიახლეა ის, რომ მასში განსაზღვრული სერვისები გავრცელდება ოკუპირებულ აფხაზეთში ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეებზე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა.

პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში, სამინისტროს მრავალმხრივ ანალიზზე დაფუძნებული პროგნოზით, დადებითი შედეგები იქნება გამოხატული აფხაზეთის მოსახლეობის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური პროფილის მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების სფეროში, ასევე, მკურნალობის ცალკეულ სახეებში.

შესაძლებელი გახდება აფხაზეთის მოსახლეობისთვის ეფექტური, მაღალშედეგიანი და, მნიშვნელოვანწილად, საბოლოო შედეგზე ორიენტირებული სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით დაავადებათა ადრეული გამოვლენა და ადეკვატური, დროული მკურნალობისთვის მყარი საფუძვლების შექმნა, რაც, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების წანამდღვარი იქნება.

კერძოდ, პროგრამით მოცულ ბენეფიციარებს პროფილური გამოკვლევების საფუძველზე დაესმებათ და დაუზუსტდებათ დიაგნოზი. სწორი, ვერიფიცირებული დიაგნოზის პირობებში გაადვილდება მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა და გაცილებით ეფექტური იქნება მისი შედეგები.

მკურნალობის დროულობა კეთილსასურველ შედეგს მოახდენს დაავადების გამოსავალზე. შესაძლებელი გახდება გართულებების, მათ შორის, ხშირად, სიცოცხლისათვის საშიშის, დროული პრევენცია.

გაუმჯობესდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ამსახველი ინდიკატორები.

მოსახლეობაში კიდევ უფრო განმტკიცდება სახელმწიფოს მხრიდან მათზე ზრუნვის შეგნება.

გარდა ამისა, დევნილ და ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ საზოგადოებაში დადებითისკენ შეიცვლება საკუთარი ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულების და პასუხისმგებლობის ვექტორი.

1.3 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა- (პროგრამული კოდი 05 04)

სამინისტროს მიერ აფხაზეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი პარამეტრების მრავალწლიანი შესწავლის შედეგები და მისი დინამიური ანალიზი აჩვენებს ქვეყნის მოსახლეობის ამ ნაწილის ზოგადი და კერძო ავადობის, ასევე, დემოგრაფიული მაჩვენებლების არცთუ სახარბიელო მდგომარეობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (დსკ) მე-10 გადახედვის კლასიფიკატორის ჯგუფების ნაწილში დევნილთა ავადობა 1.3-1.5-ჯერ და მეტადაც აღემატება ქვეყნის საშუალო პარამეტრებს.

დამაფიქრებელია, რომ ადგილი აქვს მოსახლეობის დაბერების, დაავადებათა (მათ შორის, სიმსივნური და სისხლის მიმოქცევის სისტემის პათოლოგიების) და მოკვდაობის „გაახალგაზრდაების“ შემამფოთებელ ტენდენციებს, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება როგორც აფხაზეთის მოსახლეობის, ისე, ზოგადად, ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაჩვენებლებზეც.



ვითარების დეტალური ანალიზი ადასტურებს, რომ სამინისტროს მიზნობრივი ჯანდაცვითი პროგრამების სახით აფხაზეთის მოსახლეობისთვის პროფილური სამედიცინო საქმიანობის სწორი დაგეგმვა-რეალიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება მდგომარეობის მეტ-ნაკლები სტაბილიზაცია და, რიგ შემთხვევებში, დადებითი ტენდენციების მიღწევა.

ამ პირობებში სამინისტრო არსებით მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობის ჰოსპიტალური სამედიცინო დახმარების იმ ცალკეული სახეებით უზრუნველყოფას, რაც ჯერ კიდევ არ ფინანსდება ფართო სპექტრის ცენტრალური (სახელმწიფო) ჯანდაცვითი პროგრამებით და რაც ორიენტირებულია მოქალაქეთათვის ამ სახის მკურნალობის ხელმისაწვდომობაზე, მათი სამედიცინო აქტივობის ამაღლებაზე.

შესაბამისად, ამ პროგრამის განხორციელება, დამატებითი ღონისძიების სახით, ემსახურება დიაგნოზების ვერიფიცირებას კორონაროგრაფიული გამოკვლევების სახით, რაც აუცილებლად მოითხოვს სტაციონარულ პირობებში განხორციელებას და, ასევე, ჰოსპიტალური დახმარების სხვა ცალკეულ სახეებს, მათ შორის, მეტად ეფექტურ, პაციენტის ცხოვრების ხარისხისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ოპერაციულ მკურნალობას - მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალურ ენდოპროთეზირებას.

პროგრამის სიახლეა ის, რომ მასში განსაზღვრული სერვისები გავრცელდება ოკუპირებულ აფხაზეთში ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეებზე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა.

პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში განსაზღვრულია საპროგნოზო პერიოდში დადებითი შედეგების მიღწევა აფხაზეთის მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო დახმარების სფეროში, კერძოდ, გავრცელების მაღალი სიხშირით წარმოდგენილი გულის იშემიური დაავადებების მიზანმიმართული, მაღალკვალიფიციური გამოკვლევების გზით შესაძლო სერიოზულ გართულებათა პრევენცია და კონკრეტული პაციენტების ჯანმრთელობის რეალური გაუმჯობესების მიღწევა დროული მკურნალობით; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პარამეტრების დადებითი დინამიკის ტენდენციის ფორმირების ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება. სამედიცინო სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პირობებში საკუთარი ჯანმრთელობისადმი მოსახლეობაში ჯერ კიდევ მყარად დამკვიდრებული ინდიფერენტული მიდგომის შეცვლა ობიექტური შეფასების ასპექტში და, ამ მხრივ, სამედიცინო აქტივობის ამაღლების პრიორიტეტულობის შეგნების მიღწევა.

1.4 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამა - (პროგრამული კოდი 05 05) (ამოღებულია)

1.5 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა - (პროგრამული კოდი 05 06)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დევნილ მოქალაქეთა მიმართულების/განცხადებების ანალიზი აჩვენებს, რომ, ხშირ შემთხვევებში:

1. დევნილი პაციენტების დიდი ნაწილისთვის გადაუჭრელი პრობლემაა სტაციონერული/ჰოსპიტალური მკურნალობის ღირებულების თანადაფინანსების თანხების მოძიება;
2. მედიკამენტების შესაძენი თანხების უქონლობის გამო, მკურნალობა დაგვიანებით ან არასრულფასოვნად ტარდება;
3. პრობლემურია ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სანატორიულ-კურორტული რეაბილიტაციის საკითხი.

პროგრამა ორიენტირებულ იქნება ზემოაღნიშნული და სხვა, შესაძლო მიმართულებებით მუშაობის გააქტიურებაზე.

პროგრამის კომპონენტები მოიცავს:

* სტაციონარული/ჰოსპიტალური მკურნალობის ღირებულების თანაგადახდის თანხების ნაწილობრივ ანაზღაურებას, საგარაუდოდ, არაუმეტეს 1000 ლარისა ერთ ბენეფიციარზე 1 კალენდარული წლის



განმავლობაში (ბენეფიციართა კატეგორიების მიხედვით).

* მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას (ბენეფიციართა კატეგორიების მიხედვით).

* აფხაზეთიდან დევნილ, აგრეთვე, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა დამატებითი სამედიცინო-სარეაბილიტაციო დახმარებას, რაც სრული გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამასთან, ბავშვის მკურნალობის სრულფასოვან, დასრულებულ მკურნალობაზე დამოკიდებული საბოლოო განკურნება და ოჯახის დანარჩენი წევრების უსაფრთხოება.

* დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობ სხვა შესაძლო ღონისძიებებს.

პროგრამის რეალიზაცია ხელს შეუწყობს დევნილი მოსახლეობის სტაციონარული/ჰოსპიტალური მკურნალობის მეტ ოპერატიულობას და ხარისხს; ავადმყოფთა მედიკამენტურ დახმარებას, რაც დროულ, ადეკვატურ მკურნალობაზე და, შესაბამისად, პოზიტიურ შედეგზე იქნება ორიენტირებული; სახელმწიფო პროგრამებს მიღმა დარჩენილი ტუბსაწინააღმდეგო ღონისძიებების (ბავშვთა ასაკის ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიულ-კურორტული რეაბილიტაცია) დამატებით ჩართვას ამ მიმართულებით არსებულ მკურნალობის არსებულ ფართო სპექტრში, რაც დააჩქარებს ბენეფიციართა გაჯანსაღებას და სამედიცინო რეაბილიტაციას, ასევე, სოციალურ-ფსიქოლოგიური სტატუსის აღდგენას.

პროგრამა მნიშვნელოვანი შედეგათი იქნება, პირველ რიგში, სოციალურად დაუცველი, ასევე, მცირე ფინანსური შესაძლებლობების მქონე დევნილთა ოჯახებისთვის.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასა (EUMM in Georgia) და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული EUMM-20-7025 ხელშეკრულების საფუძველზე, “COVID-19-ისთვის მზაობა და რეაგირების“ პროგრამის ფარგლებში, ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო სტაციონარული დაწესებულებებისთვის (გუდაუთის რაიონული საავადმყოფო, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ლაბორატორია, სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფო, გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფო) პირადი აღჭურვილობის საგნებისა (ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით) და COVID-19-ის სადიაგნოსტიკო ლაბორატორიული ტესტების შეძენა.

1.6 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამა -(პროგრამული კოდი 05 07)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე განუხრელი ზრუნვის პირობებში, არსებით როლს იძენს სპეციალური სასწავლო-პრაქტიკული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება როგორც ოკუპირებული აფხაზეთის, ისე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების საკადრო პოტენციალისთვის, დევნილი ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის.

სპეციალისტებთან ურთიერთობებისას გამოიკვეთა, რომ ბევრი მათგანისთვის პრობლემურია ფასიანი სასწავლო პროგრამების გავლა, რადგან ის დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან.

შესაბამისად, გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი პროგრამის რეალიზების პირობებში სპეციალისტების დაინტერესების ხარისხი და ჩართულობა გაცილებით მაღალი იქნება.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გააჩნია ხანგრძლივი გამოცდილება სპეციალისტების გადამზადებისთვის ეფექტური პროგრამის რეალიზებაში.

პროგრამა ორიენტირებულ იქნება ზემოაღნიშნული მიმართულებებით მუშაობის გააქტიურებაზე, რაც მოიცავს: ა) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ, აგრეთვე, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე სამედიცინო სფეროს სპეციალისტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა



მომზადება/გადამზადებას სხვადასხვა სასწავლო ციკლების საშუალებით კვალიფიკაციის ამაღლების, დახელოვნების სახით, რაც ხელს შეუწყობს მათი თეორიული ცოდნის ამაღლებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებას; ბ) ბენეფიციარებისთვის საჭირო ლიტერატურზე (ნაბეჭდი მასალები, ელექტრონული ვერსიები) წვდომის ხელშეწყობას.

პროგრამის რეალიზაცია ხელს შეუწყობს: ა) თანამედროვე მედიცინის აქტუალურ, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხებში სამედიცინო კადრების თეორიული მომზადების დონის ამაღლებას, რაც აუცილებელია სამედიცინო დახმარების მოცულობის და ოპერატიულობის გაზრდის, მომსახურების დონის და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ბ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება-გაღრმავებას.

ზემოაღნიშნული 2 ძირითადი მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოკუპირებული აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებების საკადრო რესურსებთან მიმართებაში, რადგან რეგიონში კვალიფიკაციის ამაღლების განხორციელების შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობს.

1.7.ა(ა)იპ - აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტო - (პროგრამული კოდი 05 08 01)

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობა, ადმინისტრირება და საქმიანობის კოორდინაცია;

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის შეფასება-პრობლემების იდენტიფიცირება;

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით არასაბიუჯეტო სახსრების, გრანტების მოზიდვა, პროექტების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან კოორდინირებით შემდგომი იმპლემენტაცია;

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ინფორმაციებისა და მოთხოვნების საფუძველზე შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის პროფესიული გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა;

1.7.1 აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების

(მათ შორის კოვიდ-სტაციონარების) მედიკამენტებით მხარდაჭერის პროგრამა

- (პროგრამული კოდი 05 08 02)

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების (მათ შორის კოვიდ-სტაციონარების) დახმარება საჭირო მედიკამენტებით, მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქრონიკული დაავადებების გართულებების პრევენციის მიზნით.

1.7.2 „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურების პროგრამა - (პროგრამული კოდი 05 08 03)

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის მეტად მოთხოვნადი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამედიცინო სერვისის ის ცალკეული სახეები, რაც სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება, რადგან რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ჰოსპიტალური (სტაციონარული) მომსახურების დაფინანსებას, ხოლო ამბულატორიული კომპონენტით ფინანსური მხარდაჭერა ვრცელდება მხოლოდ ონკოპაციენტებზე. ზემოაღნიშნული გარემოებებისა და მოქალაქეთა მომართვიანობის



გათვალისწინებით მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელების აუცილებლობა.

პროგრამის მიზანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა სამედიცინო მომსახურების (ექიმის კონსულტაცია და ამბულატორიული კვლევები) დაფინანსების უზრუნველყოფა შესაბამისი ლიმიტის ფარგლებში.

1.7.3 „სარიტუალო მომსახურების ანაზღაურების პროგრამა“ - (პროგრამული კოდი 05 08 04)

ქვეყანაში გავრცელებული ახალი კორონა ვირუსის (კოვიდ-19) გავრცელებამ გაზარდა მძიმე პაციენტთა მომართვიანობა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. მიუხედავად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში ჩატარებული მკურნალობისა ხშირია შემთხვევები, როცა რთულდება პაციენტთა მდგომარეობა და ლეტალური გამოსავლით მთავრდება. გარდაცვლილ ბენეფიციართა სარიტუალო მომსახურება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას ფინანსურ ტვირთად აწევს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სარიტუალო მომსახურება (COVID-19) ინფექციის პირობებში რეგულაციების სრული დაცვით უნდა განხორციელდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა შესაბამისი პროგრამის რეალიზაციის აუცილებლობა.

პროგრამის მიზანია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გარდაცვლილ (მათ შორის COVID-19 ვირუსის შედეგად) ოკუპირებულ აფხაზეთში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეთა სარიტუალო მომსახურება და ტრანსპორტირება ენგურის ხიდამდე (რუხი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

1.7.4 „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა“- (პროგრამული კოდი 05 08 05)

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ადგილზე ხარისხიანი ამბულატორიული მომსახურების მიღება. სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მწირია, რაც ხელს უშლის ბენეფიციართათვის მაღალხარისხიანი მომსახურების მიღებას, შესაბამისად მცირდება ბენეფიციართა მომართვიანობა და იზრდება კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის აუცილებლობა, რომელიც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სამედიცინო დაწესებულებებიდან სააგენტოში შემოსული წერილობითი თხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შეიქმნას აღნიშნული დაწესებულებების სხვადასხვა სამედიცინო საგნებითა და აპარატურით აღჭურვის საპილოტე პროგრამა.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერა სამედიცინო საგნებითა და აპარატურით; სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის პერსონალის უზრუნველყოფა ფორმებით.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რაც განაპირობებს მოსახლეობისთვის მაღალხარისხიანი მომსახურების მიწოდებას.

2. სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური დახმარების ზრდა ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის, სოციალური დახმარება დაეფუძნება ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებას და პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფს მის შემდგომ დახვეწას, რათა გაიზარდოს, როგორც მიზნობრიობის სიზუსტე, ისე დახმარების ეფექტიანობა.

2.1. დევნილთა სოციალური დაცვა - (პროგრამული კოდი 08 02), დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა -(პროგრამული კოდი 11 05)



პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნოლთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვადასხვა კატეგორიის მოწყვლადი ჯგუფებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას. დახმარების გაწევის წესი, ბენეფიციარები და შერჩევის კრიტერიუმები დადგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტით.

2.2. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისას ზემო აფხაზეთიდან იგპ-თა სოციალური უზრუნველყოფა - (პროგრამული კოდი 08 03)

პროგრამა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ითვალისწინებს:

ზემო აფხაზეთიდან სოციალურად დაუცველი (არაუმეტეს 57 000 სარეიტინგო ქულა) ოჯახებიდან ერთ წლამდე და ერთიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვების კვების პროდუქტებით და ჰიგიენის საგნებით ერთჯერადი დახმარების ვაუჩერის წესით დაფინანსებას - 240 ლარი;

ზემო აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგებისთვის (ამჟამად უმუშევარი ან პენსიონერი) ერთჯერად ფულად დახმარებას - 200 ლარი;

დასახელებული სოციალური პროგრამების აღნიშნული მიმართულებებით განხორციელება განპირობებულია ზემო აფხაზეთიდან დევნილთა შესაბამისი ჯგუფების მძიმე და უკიდურესად მძიმე მატერიალური მდგომარეობით, რომელიც ჩამოყალიბდა პანდემიით გამოწვეული საერთო ეკონომიკური კრიზისის, ინფლაციის, შესაბამისად, ფასების, პირველ რიგში სურსათზე მნიშვნელოვანი ზრდის გამო. ასეთი რეალობის პირობებში აუცილებელია დევნილთა ზემოაღნიშნული ჯგუფებისთვის სხვადასხვა ფორმით დახმარების გაწევა.

2.3. გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ - ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა - (პროგრამული კოდი 06 09)

პროგრამის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრები და მოღვაწე სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ - ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს მათ სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობას.

2.4. აფხაზეთიდან დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 03)

(ამოღებულია).

2.5. დევნილთა ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 04)

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა განსახლების ობიექტებში გადაუდებელი სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას. სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის სარემონტო მასალებით დახმარებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ექვსი ქვეპროგრამა.

პროგრამის განხორციელების წესი და კატეგორიები განსაზღვრული იქნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტით.

2.5.1. დევნილთა საცხოვრებლებში მცირე ფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 11 06 - გადავიდა პროგრამული კოდი 11 04 01)



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა განსახლების ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

2.5.2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობაში თანამონაწილეობის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 11 07 გადავიდა პროგრამული კოდი 11 04 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რეგიონებში არსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა განსახლების ობიექტში შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ წარდგენილი განაცხადის შესაბამისად, მუნიციპალური ორგანოების მიერ დაფინანსებულ პროექტში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს თანადაფინანსებას.

2.5.3. დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 11 02 გადავიდა პროგრამული კოდი 11 04 03)

ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

2.5.4. დევნილთა განსახლების ობიექტებში წყალკანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 11 04 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში წყალკანალიზაციის სისტემების რემონტის/რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებას.

2.5.5. დევნილთა განსახლების ობიექტებში სახურავების აღდგენა/გამოცვლის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 11 04 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში სახურავების აღდგენა/გამოცვლას.

2.5.6. აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 11 04 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დევნილთა განსახლების ობიექტებში, რომელზეც არ განხორციელებულა სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მცხოვრები მოწყვლადი ოჯახებისთვის სამშენებლო/სარემონტო მასალებით დახმარებას.

2.6. დევნილთა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამა - (პროგრამული კოდი 11 08)

პროგრამის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს სამინისტრო უზრუნველყოფს დროებითი საცხოვრებლის დაქირავებით. პროგრამის ბენეფიციარები და დახმარების წესი დადგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტით.

2.7. აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 09)

პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწევა აფხაზეთიდან დევნილ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებსა და ომში დაღუპულის ოჯახის წევრებს. დახმარების გაწევის წესი, ბენეფიციარები და შერჩევის კრიტერიუმები დადგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტით.



2.8. აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირების პროგრამა (პროგრამული კოდი 11 10)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების, რომლებიც ცხოვრობენ დევნილთა განსახლების ობიექტებში ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართებში დენის, წყლის და გაზის მრიცხველის მონტაჟის ფინანსური უზრუნველყოფა. დახმარების გაწევის წესი, ბენეფიციარები და შერჩევის კრიტერიუმები დადგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტით.

2.9. ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 11)

პროგრამის ფარგლებში შეიქმნება აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტების რეგიონალური ქსელური კავშირები, ელექტრონული პლატფორმა და მოხდება მათი ინფორმირების და ჩართულობის მექანიზმების შემუშავება. ასევე ხელი შეეწყობა ბინათმესაკუთრეთა ჩამოყალიბების პროცესს. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებელი თანხა გაიცემა გრანტის სახით და პროგრამის შემსრულებელი იქნება არასამთავრობო/არაკომერციული ორგანიზაცია.

2.10. სოციალური სოლიდარობის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 12)

პროგრამა ითვალისწინებს მატერიალური დახმარების გაწევას სოციალურად შეჭირვებული სხვადასხვა კატეგორიის აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებისათვის სადღესასწაულო დღეებში.

3. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

წარმატებული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა. შესაბამისად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას და ხელს უწყობს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დანერგვას აფხაზეთის 13 საჯარო და ოკუპირებულ ტერიტორიაზე - გალის რაიონში განთავსებულ 31 საშუალო სკოლაში. სამინისტრო მოწოდებულია აფხაზეთიდან ახალგაზრდებს შეუქმნას ხარისხიანი განათლების მიღებისათვის სათანადო სასწავლო პირობები და გარემო, ხელი შეუწყოს მათ წარმოჩენას, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესს და სხვა.

3.1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 04)

განათლების ხელშეწყობის პროგრამის ძირითად მიმართულებასა და მიზანს წარმოადგენს სამშვიდობო კულტურის დანერგვისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერი ღონისძიებების გატარება, აფხაზეთის საჯარო სკოლებში სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა. მოსწავლეებისა და პედაგოგების პრობლემების იდენტიფიცირება, განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესებში მონაწილეობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროგრამების შემუშავება და სათანადო ღონისძიებების გატარება და სხვა.

3.1.1. „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 01)

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება სკოლების სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობისა და ასევე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საჭირო მასალების შეძენა.

3.1.2. „წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა“ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 02)



ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთრი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

3.1.3. „კარიერის დაგეგმვა, პროფესიული ორიენტაცია და სახელობო სწავლება სკოლებში“ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 03) (ამოღებულია)

3.1.4. „საზაფხულო ბანაკი“ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 07) (ამოღებულია)

3.1.5. „დიმიტრი (არზაყან)ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 11)

აფხაზეთის საკითხის პოპულარიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ახალგაზრდების მხარდაჭერა ამ კუთხით ერთ-ერთი ქმედითი ნაბიჯია დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის (პოლიტიკის მეცნიერების დარგში) და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დანიშვნა. სტიპენდიები მიენიჭებათ აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებს.

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა (პოლიტიკის მეცნიერების დარგში) და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მოსაპოვებლად ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს მოეთხოვებათ მაღალი აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორობა ან თანაავტორობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, მაღალი საზოგადოებრივი აქტიურობა.

3.1.6. „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 12)

განათლებული ახალგაზრდობა ქვეყნის წარმატებისა და განვითარების საწინდარია. პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულების საგნების შესწავლის მოტივაციის ამაღლებას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას. პროექტის განხორციელება წარმოადგენს ახალგაზრდების მხარდაჭერის მიმართულებით გადადგმულ ქმედით ღონისძიებას.

3.1.7. შეხვედრები (1.ღვაწლმოსილ პედაგოგებთან; 2.მედალოსან კურსდამთავრებულებთან; წარმატებულ სტუდენტ - ახალგაზრდობასთან)(ქვეპროგრამის კოდი 06 04 14)

პედაგოგობა ყოველთვის რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიათა რიგში მოიაზრება. მასწავლებლის პროფესიის განვითარება მომავალთან არის დაკავშირებული და ყველა ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღების თემას წარმოადგენს. პედაგოგის პროფესიის მოთხოვნადობისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად საჭიროა ხელი შეეწყოს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას, პრესტიჟის გაზრდასა და ამ პროფესიით ახალგაზრდების დაინტერესებას.

მეტად მნიშვნელოვანია იმ ხალხის დაფასება, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნისა და მომავალი თაობის აღზრდას მიუძღვნა და თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლას დაუთმო.

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის ღვაწლმოსილი პედაგოგების დაფასება, მასწავლებლის პროფესიის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, აფხაზეთის საჯარო სკოლებში პედაგოგების წახალისება, ახალგაზრდა თაობის სწავლისადმი მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა.

3.1.8. „თანაბარი შესაძლებლობები - თანაბარი მზრუნველობა“ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 15)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდები საჭიროებენ სპეციალურ ფსიქო-სოციალურ აქტივობებში ჩართვას მათი ინტეგრირების მიზნით. მათი აღზრდა-განათლება მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას და ადაპტირებულ აქტივობებს. აღნიშნული ქვეპროგრამა ხელს უწყობს ძირითადი მიზნის მიღწევას - შშმ მოზარდების მაქსიმალურ ინტეგრირებას სოციალურ, პიროვნული განვითარების რესურსების აქტივაციას. ასევე, არსებული კომუნიკაციური სირთულეების დაძლიებას და



სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

3.1.9. აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა (ქვეპროგრამის კოდი 06 04 17)

საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში, აქვს სახელმწიფო ენის სტატუსი. აღნიშნული ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს ხელი შეუწყოს აფხაზური ენის შესწავლას, დაცვასა და განვითარებას.

აფხაზეთის ექვს საჯარო სკოლაში სწავლების საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის სახით ისწავლება აფხაზური ენა. აფხაზური ენის სწავლება სკოლებში დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან: დაბალი ფინანსური ანაზღაურება, აფხაზური ენის სპეცილისტთა ნაკლებობა და სხვა.

3.1.10. „სამოქალაქო განათლება- აქტიურ მოქალაქეთა პროგრამა “ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 18) (ამოღებულია)

3.1.11. „ვიცნობდეთ ქვეყნის გმირებს “ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 19) (ამოღებულია)

3.1.12. „ონლაინ საკვირაო სკოლა“ (ქვეპროგრამის კოდი 06 04 20)

საპილოტე პროგრამის ფარგლებში გალის რაიონის საშუალო და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ სამი საგნობრივი მიმართულების სწავლების პროცესში, სადაც ქართული ენის და ლიტერატურის, ინგლისური ენისა და ხელოვნების ისტორიის სწავლებისას არაფორმალური განათლების მეთოდები იქნება გამოყენებული. ცოდნის გაღრმავებასთან ერთად მოსწავლეები დაეუფლებიან კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების სხვადასხვა უნარ-ჩვევებს.

3.2. აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 05)

პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს აფხაზეთიდან დევნილ და აფხაზეთის საკითხზე მომუშავე მეცნიერებს თავიანთი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენაში, სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევების ჩატარებაში, ნაშრომების გამოცემაში, საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში გამოცდილების მიღებაში, ამ მუშაობის შედეგების გამოქვეყნებაში.

3.3. სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 06) (ამოღებულია)

3.4. სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება (პროგრამული კოდი 19 02)

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სტრატეგიის ნაწილია სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობას, ტოლერანტობის უნარჩვევების განვითარებას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას, წიგნიერების დონის ამაღლების სტრატეგიების დაუფლებასა და დანერგვას პრაქტიკაში, ქართველი და აფხაზი მოსწავლე-ახალგაზრდების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

3.4.1. სამშვიდობო რესურსები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა (პროგრამის კოდი 19 02 01)

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი აგრძელებს იმ პროექტების მხარდაჭერას, რომელიც დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის სახალხო დიპლომატიის, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში თანამშრომლობას წაახალისებს.

გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა კვლავ ერთ-ერთ აქტუალურ გამოწვევად



რჩება, მინისტრის აპარატს მნიშვნელოვნად მიაჩნია აღნიშნულ თემაზე ინფორმაციის მიწოდება მოხდეს იმ სამთავრობო და არასამთავრობო ჯგუფებისაგან და ექსპერტებისაგან, რომლებიც კონფლიქტების თემატიკაზე მუშაობენ, ვინც უშუალოდ მონაწილეობს აფხაზეთის პრობლემების კვლევისა და მოგვარების სამუშაო პროცესში, ამ პროცესების ხელშეწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდა ლიდერების ძალისხმევით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნეს კონფლიქტი და შესაბამისი მექანიზმებით დაძლეულ იქნეს კონფლიქტის უარყოფითი შედეგები. სხვა სამშვიდობო რესურსებთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვნად არის მიჩნეული სახალხო დიპლომატია, რომელიც ხელს შეუწყობს ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენასა და შერიგების პროცესს.

3.4.2. ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის (საერთაშორისო პროგრამა) აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი კვირეული(პროგრამის კოდი 19 02 02) (ამოღებულია).

3.4.3. მშვიდობის ლაბორატორია (პროგრამის კოდი 19 02 03)

პროგრამაში ჩართული იქნება ქართული და აფხაზური საზოგადოებების წევრები. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური პარტნიორობის შემდგომ გაღრმავებას და ნდობის აღდგენის მოტივაციის ზრდას.

აფხაზეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით გაძლიერდა ქართული კვალის წაშლისაკენ მიმართული საქმიანობა, რომელიც იწვევს არა მარტო ქართული მხარის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთებას. მნიშვნელოვანია არსებული რეალობა გაცნობიერებული იქნეს ქართულ-აფხაზური საზოგადოების მიერ, რათა მათ ერთად შეძლონ არსებული გამოწვევის დაძლევა და ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა.

3.4.4. აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტების და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში (პროგრამის კოდი 19 02 04) (ამოღებულია).

3.4.5. კვლევა - აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების პოსტრავმული ადაპტაცია და მათი ჩართულობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში (პროგრამის კოდი 19 02 05) (ამოღებულია)

3.4.6. დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში (პროგრამის კოდი 19 02 06) (ამოღებულია)

3.4.7. ახალგაზრდა ლიდერები ერთიანი საქართველოსთვის-ჩართულობა ნდობის აღდგენის საკითხებში (პროგრამის კოდი 19 02 07) (ამოღებულია)

3.4.8. თემატური გზავნილები სამშვიდობო, ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებზე (პროგრამის კოდი 19 02 08)

კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერება, თანამშრომლობის გააქტიურება ერთობლივი, პრაგმატული მნიშვნელობის საკითხებზე (განათლება, სოციალური მეწარმეობა, უსაფრთხო კეთილმეზობლური ურთიერთობები, ინტერკულტურული დიალოგი, ევროინტეგრაცია), საერთო კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე მსჯელობა, ანალიტიკური აზროვნებისა და აქტიური მოქალაქეობის განვითარება, რაც მნიშვნელოვანია ნდობის მშენებლობისთვის და კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გასამკლავებლად.

3.4.9. საერთაშორისო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის (პროგრამის კოდი 19 02 09)

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლებას პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში, საინფორმაციო კამპანიების მოწყობით;

სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრების წარმატებული ბენეფიციარების ჩართულობის ხელშეწყობას



საერთაშორისო პროგრამებში და კვალიფიციური კადრების მომზადებას;

საერთაშორისო საზოგადოების საერთაშორისო რესურსის მობილიზებას ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის-სამოქალაქო ინტეგრაციის ონლაინ პლატფორმის შექმნას უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის(დიასპორებისათვის), ვირტუალური ექსკურსიებისა და ონლაინ კონკურსების მოწყობას აფხაზეთის თემატიკაზე, რაც აამაღლებს მათ ცნობიერებას და გაზრდის ჩართულობის მოტივაციას ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების კვლევა და კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება, როგორც ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე მომზადდება რეკომენდაციები და მიეწოდება შესაბამის ინსტიტუციებს და დაინტერესებულ პირებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში აქტიურად ჩაერთვება სამოქალაქო ჩართულობის ცენტრები. გაუმჯობესდება მათი ინფრასტრუქტურა.

3.4.10. აფხაზური ისტორიის სახლი (პროგრამის კოდი 19 02 10)

აფხაზებსა და ქართველებს ერთობლივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. ამ ისტორიის მანძილზე ისინი თანაბრად იზიარებდნენ გარეშე და შინაური მტრების მიერ მიყენებულ ტკივილს თუ საერთო გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს. ქართველი და აფხაზი ხალხების თანაცხოვრების კვალი დღემდე შენარჩუნებულია აფხაზეთში და იგი მოიცავს არა მარტო საერთო ისტორიას, არამედ საერთო ტრადიციებს, საერთო რელიგიას, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის საერთო ძეგლებს, რომელთა დაცვა ჩვენი მთავარი საზრუნავია.

აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოგვარების გზაზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საზოგადოებებს შორის არსებული გაუცხოებაა, რომლის უფრო გაღმავების საშუალებაც დღითი-დღე იზრდება, და ამის მიზეზად, შესაძლოა, რომ სწორედ ისტორიის კონფლიქტური ვერსიებით თაობათა აღზრდა მივიჩნიოთ.

ქვეპროგრამის მიზანია, შეიქმნას ეთნოგრაფიული სივრცე აფხაზური ისტორიისა და იდენტობის ძირითადი ნარატივების გათვალისწინებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ლექციები (ადგილობრივი და გასვლითი), დისკუსიები (პანელურ და მრგვალი მაგიდის ფორმატში), გამოფენები (უნიკალური ხელნაწერების, საისტორიო დოკუმენტების, ფოტომასალის საფუძველზე), ფორუმები.

ქვეპროგრამის განხორციელება არა მარტო გააღრმავებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, არამედ ხელს შეუწყობს კულტურულ-ისტორიული ღირებულებებისა და საერთო ტრადიციების დაცვასა და პოპულარიზაციას, ორმხრივი ურთიერთობების სტაბილიზაციასა და სამშვიდობო პროცესების განვითარებას.

3.4.11. სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა (პროგრამის კოდი 19 02 11)

სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სამშვიდობო პროცესებში. ამ მიზნით, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრები.

ქვეპროგრამის მიზანია, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრების დახმარებით სამოქალაქო საზოგადოების ცოდნის ამაღლება, ინტეგრაციის პროცესებისადმი ხელშეწყობა.

მთელი საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრების მოწყობას სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრებში, კვალიფიციური სამშვიდობო რესურსების მომზადებისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას;

სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნას და მათი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების მხარდაჭერას;



ცენტრის კურსდამთავრებულების მონაწილეობით სხვადასხვა ქალაქებში მცირე ბიუჯეტისა და ღონისძიებების ორგანიზებას;

დედნილი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას და რესოციალიზაციას და ინტეგრაციას. პროფესიული განვითარების სასწავლო კომპონენტის მხარდაჭერას.

3.5. ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება- (პროგრამული კოდი 01 02)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მისი საქმიანობის ფარგლებში საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება და პოლიტიკის კვლევის დოკუმენტის შექმნის უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზანია ისტორიით სპეკულაციას დავუპირისპიროთ ისტორიული ფაქტების სიღრმისეული და კომპლექსური ცოდნა, რომელიც, ასევე, იქნება გამყარებული საარქივო მასალით და სტატისტიკური მონაცემებით.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური ჩართულობისა და ინტეგრაციის მიზნით კულტურულ - გასართობი და შემეცნებითი პროექტების განხორციელება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა. დევნილ ახალგაზრდობში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მხარდაჭერა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა და ახალგაზრდობში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

ლიტერატურული და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობისა და ამ მიზნით პროგრამების, წინადადებების, გეგმების შემუშავება. ხალხური ხელოვნების დარგების (ქორეოგრაფია, მუსიკა, თეატრი, სახვითი, ზეპირსიტყვაობა, ხალხური რეწვა, ფოლკლორი) დაცვა-განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

აფხაზეთის ძირძველი მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ამ მიზნით სპეციალური გამოცემების, ვებ-გვერდების, ფილმების მომზადება.

შესაძლებლობების ფარგლებში აფხაზეთში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებათა განხორციელება და მათი ხელშეწყობა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, მისი შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მეთოდოლოგიის შემუშავება.

4.1 კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 07)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს ქვეყანაში არსებული აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას, პოპულარიზაციას, მათი სამშვიდობო როლის წარმოჩენას, აფხაზეთისა და საქართველოს შემოქმედებით ორგანიზაციებს შორის ტრადიციული კულტურული კავშირების აღდგენას, ხელოვნების სფეროში თავისუფალი, დაცული და კონკრეტული გარემოს ჩამოყალიბებას, მათ მხარდაჭერაში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის ხელშეწყობას.

სახელმწიფოს ხელშეწყობა მსოფლიოში საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებაში, აფხაზეთის კულტურის და მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის როგორც ერთიანი ქართული კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ორგანული ნაწილის წარმოჩენაში.

აფხაზეთის კულტურასა და მის პოპულარიზაციაზე გამოხმაურებები სოციალურ ქსელებსა და მედია სივრცეში, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საერთაშორისო არენაზე.



4.1.1. „საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 03) (ამოღებულია)

4.1.2. „სადამოები“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 05) (ამოღებულია)

4.1.3. „გ. შარვაშიძის სახელობის პრემია“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 07) (ამოღებულია)

4.1.4. „აფხაზეთის დღე “ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 09) (ამოღებულია)

4.1.5. „ ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია “(ქვეპროგრამის კოდი 06 07 10) (ამოღებულია)

4.1.6. გამოყენებითი ხელოვნების სასწავლო პროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 06 07 11) (ამოღებულია)

4.1.7. ქართულ-აფხაზური სამუსიკო დიალოგი (ქვეპროგრამის კოდი 06 07 12) (ამოღებულია)

4.1.8. მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი შეხვედრების ორგანიზება (ქვეპროგრამის კოდი 06 07 13) (ამოღებულია)

4.1.9. „ეპოქა ქალი“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 15) (ამოღებულია).

4.1.10. „ახალგაზრდა მწერალთა კონკურსი“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 16) (ამოღებულია)

4.1.11. „ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 17)

ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია გაიცემა კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის;

ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია ენიჭება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში შექმნილ ნამუშევრების ავტორებს, რომელთაც ტექნიკური, შინაარსობრივი და სხვა ღირსებათა გამო აღიარება მოიპოვეს ქართული და აფხაზური სახვითი ხელოვნების დარგში.

ქვეპროგრამის მიზანია, საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაშრომებს შეაფასებს კომპენტენტური ჟიური და გამოავლენს საუკეთესოს საუკეთესოთა შორის.

4.1.12. „თავისუფალი პროექტების მხარდაჭერის კონკურსი“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 18) (ამოღებულია)

4.2. სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 08) (ამოღებულია)

4.2.1. სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერა (ქვეპროგრამის კოდი 06 08 01) (ამოღებულია)

4.2.2. ტურნირები და აფხაზეთის ღია პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ქვეპროგრამის კოდი 06 08 02) (ამოღებულია)

4.2.3. ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დაჯილდოვება (ქვეპროგრამის კოდი 06 08 04) (ამოღებულია)

4.2.4. აფხაზეთის სპორტის შესახებ წიგნის ბეჭდვა (ქვეპროგრამის კოდი 06 08 05) (ამოღებულია)

4.3. კულტურული ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 10)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურული და უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალფეროვნებას, რომელსაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი ზოგადსაგანობრიო ფასეულობათა შექმნაში. ვინაიდან, კულტურულ მემკვიდრეობას წვლილი შეაქვს ინდივიდუალურ და საერთო იდენტობის ფორმირებაში, ხელს უწყობს სოციალურ და ტერიტორიულ ერთიანობას და აქვს ეკონომიკური ღირებულება. შესაბამისად აუცილებელია შესაძლებლობების ფარგლებში აფხაზეთის



ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა, შენარჩუნება და გადაცემა მომავალი თაობებისათვის. როგორც ვიცით, აფხაზეთის მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობა მუდმივად კარგავს თავის ავთენტურობასა და უნიკალურობას, მასზედ განხორციელებული ვანდალური აქტების შედეგად. საფრთხის წინაშეა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც განსაკუთრებით აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობაზე და დევნილ ახალგაზრდებზე ახდენს უარყოფით გავლენას.

აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიზანია ყურადღება მიაპყროს და რეაგირება მოახდინოს აფხაზეთის კულტურისფასეულობათა დაცვის და პოპულარიზაციის საკითხებზე. გამოიჩინოს სიფხიზლე და არ დაუშვას საქართველოში-აფხაზეთის კულტურული ფასეულობების მიმართ ნიჰილიზმის დანერგვა. კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს ამ ფასეულობათა დაცვისა და მომავალი თაობებისათვის გადაცემის საქმიანობაში. გააცნობიეროს კულტურისგანსაკუთრებული როლი სოციალური თანხმობის, ეკონომიკური ზრდის, განათლებისა და კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებისათვის და ამ მიზნების განსახორციელებლად უზრუნველყოს ფართო საზოგადოებისა და პროფესიული წრეების ჩართულობა.

4.3.1. სამეცნიერო კონფერენცია (ქვეპროგრამის კოდი 06 10 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდება კონფერენციის დებულება, მონაწილეობის მსურველთა სარეგისტრაციო ანკეტა დასამტკიცებლად წარედგინება აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრს, რის შემდეგაც განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერები/მომხსენებლები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ უახლეს შრომებს აფხაზეთის თემატიკასა და აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, ამ კუთხით, ამჟამად არსებული მდგომარეობის აღწერითა და შეფასებებით. კონფერენციაზე მოწვეული იქნებიან ამ მიმართულებით მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვა.

4.3.2. „ საველე ბანაკი“ (შემეცნებითი ტურები, ექსკურსიები, არქეოლოგიური ბანაკი) (ქვეპროგრამის კოდი 06 10 08) (ამოღებულია)

4.3.3. სალექციო კვირეული „აღმოაჩინე აფხაზეთი“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 11)

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს აფხაზეთის კულტურულ ფასეულობებზე ზრუნვა და მათი პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ჩვენი მიმართვის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მოახდენს ქ. თბილისის 5 საჯარო სკოლის შერჩევას, ხოლო ჩვენი მხრიდან მოვახდენთ პროფესორ-მასწავლებლების შერჩევა-მოძიებას. საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის დარგის სპეციალისტების მიერ წაკითხული იქნება ლექციების ციკლი თემატიკით: „საქართველოს ისტორია აფხაზეთის ჭრილში - ანტიკური ხანიდან დღემდე“.

ლექციების დასრულების შემდეგ გაიმართება ახალგაზრდული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ის მოსწავლეები, რომლებიც გაივლიან შესაბამის ლექციებს და მიღებული ცოდნის საფუძველზე მოამზადებენ საკონფერენციო თემებს.

პროექტის დასკვნით ნაწილში სალექციო კურსში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებს გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები და დიპლომები, ხოლო პროექტში მონაწილე მოსწავლეებს დიპლომები და სერთიფიკატები.

4.3.4. კულტურული მემკვიდრეობა „ვიკიპედიაში“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 13) (ამოღებულია)

4.3.5. ბუკლეტი „კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 15) (ამოღებულია)

4.3.6. აპლიკაცია „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 16)

საგამომცემლო სერია: „გზამკვლევი, აფხაზეთის რეგიონები“ წარმოადგენს გზამკვლევს აფხაზეთის რეგიონების შესახებ. ჩვენ შევიცდებით ფართო საზოგადოებას შევთავაზოთ აფხაზეთის რეგიონები,



როგორც ისტორიული მიმოხილვით, ასევე ამჟამინდელი ობიექტური ინფორმაციით.

მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება - ფოტო და საარქივო მასალის მოძიება და შესაბამისი ისტორიული მიმოხილვით გამდიდრება. დაბეჭდვის მიზნით შესაბამისი სამუშაოების შესრულება.

საგამომცემლო სერიის თითოეული გამოცემა დაეთმობა აფხაზეთის თითო რეგიონს, როგორც იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ასევე ურბანულ განაშენიანებას, საფორტეფიკაციო ნაგებობების (რკინიგზის სადგურები, ნავსადგურის მისადგომები, შუქურები, ხიდები, გზები), სარეკრიაციო ზონები (უძველესი და თანამედროვე) რაიონში განთავსებულ მნიშვნელოვან ობიექტებს. ნაშრომი დაიბეჭდება ფერადი, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე სადაც აღბეჭდილი იქნება - დაერთვება მისი აღწერა-მოკლე ისტორია, მნიშვნელობა და ამჟამინდელი მდგომარეობა.

4.3.7. უცხოელთა თვალით დანახული აფხაზეთი (მე-18, მე- 19 საუკუნეების მოგზაურთა ჩანაწერები და ჩანახატები (ქვეპროგრამის კოდი 06 10 17) (ამოღებულია)

4.3.8. ფოტოგამოფება „კადრები აფხაზეთიდან“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 18)

ფოტოალბომი „აფხაზეთის უცნობი ფოტო-ისტორია“ წარმოადგენს ფოტოებს აფხაზეთის შესახებ.

ფოტოალბომში შევა ქობლანიძეთა ფოტოკოლექცია, რომელიც ახლა უკვე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილია, მე-19 საუკუნეს 60-იანი წლებიდან, ანუ ფოტოგრაფიის დაარსებუდან მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე დროის მონკვეთს მოიცავს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიას ინახავს.

ფოტოების მოძიება საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის არქივში დაბეჭდვის მიზნით შესაბამისი სამუშაოების შესრულება.

4.3.9. ექსპოზიცია აფხაზეთის მოზაიკა (ქვეპროგრამის კოდი 06 10 19)

ქვეპროგრამის ამოცანაა „აფხაზეთში არსებული მოზაიკური ნამუშევრების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით 3D ფორმატში წარდგენასა და გამოფენის ორგანიზება“.

4.3.10. იაპონური კულტურა სოხუმში (ქვეპროგრამის კოდი 06 10 20) (ამოღებულია)

4.4. აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა(პროგრამის კოდი 06 27 02)

პროგრამის მიზანია აფხაზური კულტურისა და შემოქმედების დაცვა, განვითარება, პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.

პროგრამა გულისხმობს ისეთი პროექტების ხელშეწყობას, რომლებიც, უზრუნველყოფს კულტურის ხელმისაწვდომობას, ქართულ - აფხაზური შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას, ახალგაზრდა ხელოვანების საქმიანობის პოპულარიზაციას, კულტურის ტრადიციული და ახალი დარგების (სამემსრულებლო, ვიზუალური, შემოქმედებითი მიმართულებების და სხვა...) გაძლიერებას, აფხაზური კულტურის ინტეგრირებას საერთო კულტურულ რუკაზე, მის გატანას საერთაშორისო დონეზე და ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობას. დამოუკიდებელი სახელოვნებო ორგანიზაციების, ჯგუფების, ხელოვანების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას.

დასახული მიზნების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ტიპის პროექტების და ღონისძიებების ხელშეწყობა/განხორციელებას: ფესტივალები (ადგილობრივი და საერთაშორისო), ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, საგამომცემლო საქმიანობა, გამოფენები, თემატური ვორქშოპები.

პროგრამა უზრუნველყოფს აფხაზური კულტურისა და შემოქმედების განვითარებასა და პოპულარიზაციას, მრავალფეროვანი პროექტების განხორციელებას.

4.4.1. საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 06 27 02 01) ქვეპროგრამა



ითვალისწინებს საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, კერძოდ, თავისუფალი თეატრალური პროექტების განხორციელებისა და თეატრალური ხელოვნების განვითარებას, ახალგაზრდა რეჟისორების პოტენციალის გამოვლენასა და სათეატრო სივრცის შევსებას ახალი წარმოდგენებით.

4.4.2. საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები (ქვეპროგრამის კოდი 06 27 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი ხელოვნების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების, ასევე სხვადასხვა ტიპის გამოფენებისა და შემოქმედებითი საქმიანობის, როგორც ტრადიციული ისე თანამედროვე დარგებისა და მიმართულებების, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ხელშეწყობას (აფხაზეთობა, მხატვრობა, ფოტოგრაფია, რეჟვა, დიზაინი და სხვა)

4.4.3. ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა(ქვეპროგრამის კოდი 06 27 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში - თანამედროვე და კლასიკური მუსიკისა და ქორეოგრაფიის, თეატრალური, სახვითი ხელოვნების და სხვა ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობას.

სახელოვნებო სფეროს კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა ფესტივალებისა და კონკურსების ჩატარების გზით.

4.4.4. ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა(ქვეპროგრამის კოდი 06 27 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინკლუზიური პროექტები ხელოვნების სფეროს სხვადასხვა დარგში. პროგრამის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენა და შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობა კულტურულ პროცესებში.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობით განხორციელებული ღონისძიებები.

4.4.5. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 06 27 02 05)

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის შესახებ მონოგრაფიების, კატალოგების, მხატვრული ტექსტის, ბიოგრაფიული ინფორმაციის და სხვა საკითხების შესახებ ნაშრომების გამოცემის ხელშეწყობა.

4.4.6. „მე აფხაზეთისთვის“ (ქვეპროგრამის კოდი 06 27 02 06)

სააგენტოს ვებ-გვერდსა და ფეისბუკგვერდზე დაიწყება კამპანია, სადაც შეირჩევა საუკეთესო, საინტერესო ისტორიის მქონე ათი გმირი, რომელთა წარდგენა განხორციელდება სპეციალურად მოწვეულ სადამოზე.

შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება აფხაზეთიდან დევნილთა წარმატებული და საინტერესო ისტორიების პოპულარიზაცია, ამაღლება შერჩეულ გმირთა მოტივაცია, გაიზრდება შთაბეჭდილებებით ნაზიარებ ადამიანთა რიცხვი.

ტელევიზიებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით გაშუქდება აფხაზეთიდან დევნილ შერჩეულ გმირთა წარდგენა, შედეგად დაიმსახურებენ საზოგადოების ფართო წრის მხარდაჭერას.

4.4.7. „საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“ (ქვეპროგრამის კოდი 06 27 02 07)

დევნილი მოზარდებისთვის საახალწლო განწყობისა და მხიარული ატმოსფეროს შექმნა და მათი უნარების განვითარება.



საახალწლო ზეიმში აქტიური მონაწილეობა დადებითად აისახება მათ სულიერ განწყობაზე, საზეიმო ელფერს შემატებს მათ ცხოვრებას, განუმტკიცებს მომავლისადმი იმედს.

4.5. სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამის კოდი 06 27 03)

პროგრამის მიზანია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.

პროგრამა გულისხმობს ისეთი პროექტების ხელშეწყობას, რომლებიც, უზრუნველყოფს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობას და მონაწილეობის მიღებისათვის დახმარებას, ადგილობრივ და საზღვარგარეთ საერთაშორისო შეჯიბრებზე, ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის თანადაფინანსებას. სხვადასხვა სპორტული მასობრივი ღონისძიებების ხელშეწყობა. ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ხელშეწყობა. პოპულარიზაცია გაეწევა აფხაზეთის სპორტის ტრადიციულ სახეობებსა და აფხაზეთის სპორტის დამსახურებულ მუშაკებს და წარმატებულ სპორტსმენებს. საქართველოს ჩემპიონატისათვის მომზადება, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა. აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობა ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად. ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით პროგრამა ინტეგრირებულია როგორც საგანამანათლებლო, ასევე შემეცნებითი კომპონენტებით. ახალგაზრდების ინფორმირება ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებზე და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა აღნიშნულ პროცესში;

4.5.1. სპორტული ღონისძიებების ინიციატივების ხელშეწყობა(ქვეპროგრამის კოდი 06 27 03 01)

ტურნირების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც აფხაზეთიდან დევნილი ასევე საქართველოს რეგიონში მცხოვრები ბავშვები. ტურნირი ხელს შეუწყობს ნიჭიერი, წარმატებული, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას, აფხაზეთის ნაკრები გუნდის დაკომპლექტებას, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას. ახალგაზრდა სპორტსმენების მომზადებას სხვადასხვა რანგის ტურნირებსა და შეჯიბრებებში.

ტურნირი საჯარო სახელმწიფო უწყებებს შორის ემსახურება საჯარო დაწესებულებებში თანამშრომლებათვის სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და უწყებებს შორის არაფორმალური ურთიერთობების გაღრმავებას, რაც ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

4.5.2. აფხაზეთის სპორტული ტურნირები (ქვეპროგრამის კოდი 06 27 03 02)

ტურნირების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც აფხაზეთიდან დევნილი ასევე საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ბავშვები. ტურნირი ხელს შეუწყობს ბავშვთა და მოზარდთა შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მიზანია ნიჭიერი, წარმატებული, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას. ტურნირი საჯარო სახელმწიფო უწყებებს შორის ემსახურება საჯარო დაწესებულებებში თანამშრომლებათვის სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და უწყებებს შორის არაფორმალური ურთიერთობების გაღრმავებას, რაც ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

4.5.3. წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა - დაჯილდოება (ქვეპროგრამის კოდი 06 27 03 03)

სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის შენარჩუნება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის სპორტის განვითარებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია წარმატებული, ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და ვეტერან მუშაკთა დამსახურების შესაბამისად მათი პოპულარიზაცია და საზოგადოების ინფორმირებულობა. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების მიზანია აფხაზეთის სპორტის დამსახურებულ და წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება და მათი პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს აფხაზეთის სპორტის ტრადიციული სახეების პოპულარიზაციასა და განვითარებას.

4.5.4. ევროპული არდადეგები(ქვეპროგრამის კოდი 06 27 03 04)

ახალგაზრდების ინფორმირება ადამიანის უფლებების საკითხებზე და ახალგაზრდების ჩართულობის



გაზრდა აღნიშნულ პროცესში; ასევე, ახალგაზრდებისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტურისტული პოტენციალისა და ღირსშესანიშნაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შიდა ტურიზმის პოპულარიზაცია.

ახალგაზრდების მიერ სტერეოტიპების დაძლევა და საკითხებისადმი ნდობის აღდგენის პროცესის ხელშეწყობა.

4.6. ა(ა)იპ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი“ (პროგრამული კოდი 02 06)

ახალი ამბების, რუბრიკების, დოკუმენტური მასალებისა და მიუკერძოებელი ანალიტიკური ინფორმაციების მომზადება აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებულ მოვლენებზე.

აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით ცენტრის საკომუნიკაციო არხებით მიღებული და მასმედიით გავრცელებული ინფორმაციების აკუმულირება, კვლევა, ანალიზი, შესწავლა, შეფასება, პროგნოზირება, რეკომენდაციების მომზადება და დაინტერესებული პირებისათვის წარდგენა.

აფხაზეთის კონფლიქტზე მომუშავე კონფლიქტოლოგთა, პოლიტიკურ მიმომხილველთა, ექსპერტთა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების, სემინარების ორგანიზება და ჩატარება.

სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო არასამთავრობო სექტორთან ურთიერთთანამშრომლობა; ექსპერტებისა და ანალიტიკოსების ჩართულობით საინფორმაციო-ანალიტიკური ვიდეომასალის მომზადება.

მულტიმედიური მეთოდების დანერგვა და განვითარება ცენტრის საკომუნიკაციო არხების სხვადასხვა პლატფორმებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის დეოკუპაციისა და დევნილთა საკუთარ სახლებში ღირსეული დაბრუნების პროცესში ჩართულობა და ხელშეწყობა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროცესების საინფორმაციო უზრუნველყოფა.

5. საერთო ეკონომიკური საქმიანობა

5.1 მცენარეთა დაცვითი და ინვაზიურ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების პროგრამები (პროგრამის კოდი 12 02) (ამოღებულია)

5.1.1. „ინვაზიური და სხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებები“ (პროგრამის კოდი 12 02 01) (ამოღებულია)

5.1.2. „მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობა“ (ქვეპროგრამის კოდი 12 02 02) (ამოღებულია)

5.1.3. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები - (პროგრამის კოდი 12 02 03) (ამოღებულია)

5.1.4. „დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები“ (პროგრამის კოდი 18 07 02) (ამოღებულია)

5.1.5. „მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა“ (პროგრამის კოდი 18 07 03) (ამოღებულია)

5.1.6. „აფხაზური ეთნოკუთხისა და კოლხური ბზის სადემონსტრაციო უბნის მოწყობა-



ფუნქციონირება“(პროგრამის კოდი 18 07 04)

2018 წლიდან სააგენტომ, კერძოდ ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში ქ. თბილისის მერიის მიერ უზურფრუქტის ფორმით 10 წლის ვადით გადმოცემულ ფართობზე მოეწყო და ფუნქციონირებს კოლხური ბზის სანერგეს მეურნეობა. წლების განმავლობაში დაგროვილმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით მიზანშეწონილია სანერგე ძირითადი დატვირთვით საქმიანობა განაგრძოს დასავლეთ საქართველოში.

უმუშალოდ ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში არსებული ტერიტორიაზე კი დარჩება კოლხური ბზის სადემოსტრაციო უბანი. ასევე დღეს არ არსებობს ადგილი ღია სივრცეში, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს საგამანთლებლო, შემეცნებითი და სხვადასხვა სახის ღონისძიებები დევნილი საზოგადოების, და არა მარტო ჩართულობით და ტეროტორიის ლანდშაფტი იძლევა საშუალებას მოეწყოს აფხაზური ეთნოკუთხე, სადაც განთავსდება მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობები. ეს საშუალებას მოგვცემს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით ჩავატაროთ სხვადასხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს აფხაზეთის პრობლემატიკის აქტუალიზაციას და დევნილი საზოგადოების გაერთიანებას.

5.1.7. „დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება“ (პროგრამის კოდი 18 07 05) (ამოღებულია).

5.1.8. „დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად“ (პროგრამის კოდი 18 07 06) (ამოღებულია).

5.1.9. „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად“ (პროგრამის კოდი 18 07 07)

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა, თუმცა პრობლემის მასშტაბურობა მოითხოვს ყველაზე დონეზე - ცენტრალური ხელისუფლება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები უფრო მეტ ძალისხმევას და კონკრეტულ, ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირებულ აქტივობებს. განსაკუთრებით ეს საკითხი მწვავეა რეგიონებში, მათ შორის ენგურის პირას მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში. სწორედ ამ რეგიონში თუნდაც მცირედი შემოსავლებით დევნილთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა გააუმჯობესებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ამავე დროს არსებული ფინანსური რესურსის სიმწირე კი მოითხოვს, ისეთი აქტივობების განხორციელებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც დროის მოკლე პერიოდში მოგვცემს კონკრეტულ შედეგს და იქნება ორიენტირებული თვითდასაქმებაზე. საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში გავრცელებული ეპიდემიის ფონზე, როცა სასურსათო უსაფრთხოებასა და ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ამ კუთხით პერსპექტიულია დაფნის ფოთლის წარმოება, რომელიც მოითხოვს არც თუ დიდ ფინანსურ რესურსს და გააჩნია მაღალი საექსპორტო პოტენციალი. თუმცა ადგილობრივ ბაზარზე მნიშვნელოვანია დეფიციტის დაფნის ნერგებზე, რომლის გარეშე ამ მეტად მნიშვნელოვანი აგრარული მიმართულების განვითარება რთული იქნება.

პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილთა დასაქმება და მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა დაფნის ნერგებისა წარმოება-რეალიზაციის გზით, კერძოდ

ხოზის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში სააგენტოს ბალანსზე არსებულ მიწის ფართობზე (ს/კ 49.19.22.025) მოწყობილ დაფნის სანერგესი გაგრძელდება ნერგების გამოყვანისა და მათი მოვლა-პატრონობის პროცესი. ყოველწლიურად იგეგმება 80 000-მდე ნერგის გამოყვანა-რეალიზაცია.

პროგრამის სამიზნე ჯგუფი იქნება ხოზის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები.

5.1.10. „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით“(პროგრამის კოდი 18 07 08) (ამოღებულია).

5.1.11. „ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა ერთწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად “ (პროგრამის კოდი 18 07 09)



დევნილთა მნიშვნელოვან ნაწილს ხელი არ მიუწვდება ელემენტარულ საარსებო წყაროებზე, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით დგას რეგიონებში. პრობლემის სიმწვავე მოითხოვს სწრაფ და ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირებულ აქტივობებს, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში, რომელიც მოგვცემს საშუალებას დროის მოკლე პერიოდში უზრუნველყოთ სამიზნე ჯგუფები შემოსავლებით. ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გამძაფრებული ეკონომიკური პრობლემების ფონზე, როც მცირდება სამუშაო ადგილები და ჩვენს თანამოქალაქებს მკვეთრად შეუმცირდათ საარსებო წყაროები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსის მიმართვა ერთწლიანი კულტურის (სიმინდი) წარმოებაზე, რათა მოკლევადიან პერიოდში მივიღოთ გარკვეული შედეგი და გავლენა მოვახდინოთ თუნდაც რამდენიმე ჩვენი თანამოქალაქის კეთილდღეობაზე.

პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რიყეში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 43.09.02.399) ერთ კონტურზე - 8 ჰა სიმინდის მოყვანა-რეალიზაციის შედეგად აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

პროექტის სამიზნე ჯგუფი იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ე.წ. „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე სოფლებში და მცხოვრები 7 აფხაზეთიდან დევნილი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სიმინდის მოვალ-პატრონობაში.

5.1.12. „აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით“ (პროგრამის კოდი 18 07 10) (ამოღებულია)

5.1.13. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) საპრევენციო ღონისძიებების ხელშეწყობა“ (პროგრამის კოდი 18 07 11)

პროგრამის მიზანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიიდან გადმოსული დევნილებისათვის ცალკეული პრევენციული მომსახურების გაწევა ახალი კორონავირუსის (კოვიდ 19) გავრცელებასთან დაკავშირებით.

5.1.14. „დევნილების ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა“ (პროგრამის კოდი 18 07 12)

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, როგორც უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონის მნიშვნელოვნად შემცირების ქმედითი ინსტრუმენტი. შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და ღირსეული შემოსავლებით უზრუნველყოფა მოითხოვს სხვადასხვა დონეზე სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულ და გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებულ ქმედებებს, რაც გულისხმობს ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნას, მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებას და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე ბევრი გაკეთდა ბიზნესის ხელშეწყობისათვის ჯერ კიდევ აქტუალურია ფინანსურ რესურსზე და მატერიალურ-ტექნიკურ აქტივებზე ხელმისაწვდომობა, დაბალ დონეზეა ბიზნესის, განსაკუთრებით მცირეს შემთხვევაში, წარმოების უნარ-ჩვევები. ეს საკითხი ასევე აქტუალურია დევნილ მცირე ან დამწყები მეწარმეებისათვის.

საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ სწორედ მცირე ბიზნესის სექტორში დევნილთა ინიციატივების მხარდაჭერა მკვეთრად გამოხატული საჭიროებაა, შესაბამისად მათი ცოდნის გაუმჯობესება და მცირე ინვეტარით უზრუნველყოფა მისცემს საშუალებას განავითარონ თავიანთი ბიზნესი და უზრუნველყონ ღირსეული შემოსავლებით საკუთარი ოჯახები.

პროგრამის მიზანია დევნილთა მცირე ბიზნესის, მათ შორის აგრარული მიმართულებით მხარდაჭერა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური მცირე აქტივებით უზრუნველყოფის გზით

5.1.15. „დევნილების კოლექტიურ ცენტრებში დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება“ (პროგრამის კოდი 18 07 13)

დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა და მათი უზრუნველყოფა სტაბილური საარსებო წყაროებით



მიუხედავად სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების მიერ გატარებული ღონისძიებებისა კვლავაც აქტუალური პრობლემაა. განსაკუთრებით მწვავე ეს საკითხი საქართველოში რეგიონებში განთავსებულ როგორც ახალ, ისე ძველ კოლექტიურ ცენტრებში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია დევნილთა ჩასახლებაში დევნილთა დასაქმების მიზნით მცირე საამქროებისა ან მომსახურების სერვისების მოწყობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ ისინი შემოსავლის სტაბილური წყაროთი.

პროგრამის მიზანია კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მცირე საამქროებისა და მომსახურების სერვისების ობიექტების მოწყობა.

5.1.16. „დევნილ ფერმერთა მხარდაჭერა“ (პროგრამის კოდი 18 07 14)

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები საშუალებას იძლევა ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სხვადასხვა ჯიშების მოყვანა-რეალიზაციის, რაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს ამ პრიორიტეტული დარგის განვითარებაში, რაც პირველ რიგში გულისხმობს ააიპ სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებულ პროგრამებს. არაერთი დევნილი ფერმერი ჩაერთო ან გეგმავს მონაწილეობას ამ პროგრამებში, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც მათ აქვთ მიწის ნაკვეთები, მაგრამ არ აქვს ფინანსური რესურსი მოსამზადებელი სამუშაოებისათვის და თანადაფინანსების კომპონენტებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ დევნილ ფერმერებს, რომლებიც გეგმავენ ისარგებლონ ამ პროგრამებით, რადგანაც ეს მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

პროგრამის მიზანია დევნილთა ფერმერთა მხარდაჭერა, რომლებიც აქვთ სურვილი ჩაერთონ ააიპ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამა „დანერგე მომავალში“ და საჭიროებენ მოსამზადებელი, მათ შორის ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის ან თანადაფინანსებისათვის ფინანსურ რესურსს

5.1.17. ქ.ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში „აფხაზური ხეივნის“ მოწყობა (პროგრამის კოდი 18 07 15)

პროგრამის მიზანია ქ.ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში „აფხაზური ხეივნის“ მოწყობა, რაც გულისხმობს აფხაზეთის ენდემური მცენარეების საკოლექციო ნაკვეთების შექმნას, ხელს შეუწყობს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო მუშაობის გაძლიერებას. მოსწავლე-ახალგაზრდებისა და ყველა დაინტერესებულ პირის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას.

5.1.18. საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედობის შენარჩუნების პროგრამა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (პროგრამული კოდი 18 09 01- გადავიდა პროგრამულ კოდზე 18 07 16)

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მათ შორის მეცხოველეობის მეფუტკრეობისა და მეფრინველეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია ვეტერინარული მომსახურების გარეშე.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წლების განმავლობაში უკიდურესად მძიმეა, შესაბამისად ფინანსური რესურსის სიმწირის გამო ნაკლებად ხელმისაწვდომია აუცილებელი და თანამედროვე საპროფილაქტიკო-სამკურნალო ვეტპრეპარატები.

შინაური ცხოველებისა და ფუტკართა საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, ისეთ დაავადებათა წინააღმდეგ, როგორიცაა: ინვაზიური, გარე პარაზიტების, პიროპლაზმოზის, მასტიტების, ენდომეტრიტების, კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადებების, ემკარის, ჰემორაგიული სეპტიცემიის, ღორის კლასიკური ქირის, წითელი ქარის, ფუტკრის ვაროატოზი, ამერიკული სიდამპლე, ნოზემატოზი ხელს შეუწყობს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეპიზოოტური კეთილსაიმედობის შენარჩუნებას და მის ეფექტურ კონტროლს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამა არის ერთადერთი საშუალება საჭირო ვეტპრეპარატების



შეძენის და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი შინაური ცხოველებისა და ფუტკართა ოჯახების დაავადებათა საწინააღმდეგო ვეტ.ღონისძიებების ჩატარების. ამასთანავე აღნიშნული პროგრამის ეფექტურად განხორციელება თავის მხრივ მეზობელი ქვეყნიდან და ოკუპირებული ტერიტორიიდან შინაური ცხოველების ინფექციური დაავადებებისა და ეპიდემიების გავრცელების საშიშროების მინიმიზაციას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

5.1.19. „მცენარეთა დაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 18 09 02 - გადავიდა პროგრამულ კოდზე 18 07 17).

ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. ამ დარგში უმეტესი წილი მოდის ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებზე (თხილი, სიმინდი, ციტრუსი და სხვა), რომელთა მოსავლიანობა და შესაბამისად მოსახლეობის საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეფექტურობაზე.

პროგრამის მიზანია გალის, ნაწილობრივ ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდა თანამედროვე და ეფექტური მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარების ხელშეწყობის შედეგად, რაც ითვალისწინებს ღონისძიებების ორგანიზებას, საკონსულტაციო მომსახურებას და პერმანენტულ მონიტორინგს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებას, რაც შესაბამისად შეამცირებს მავნებლების პოპულარიზაციას და დაავადებების გავრცელების ხარისხსა და მიყენებული ზიანის რაოდენობას.

5.1.20. მდ. ენგურის ე.წ. „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეზე მცხოვრებ დევნილ ფერმერთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 18 09 03 - გადავიდა პროგრამულ კოდზე 18 07 18).

ე.წ. „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეს მცხოვრები ფერმერებისა და აგრო მეწარმეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს აგრარული პროდუქციის წარმოება, მათ შორის, მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (კაკლოვანი და კურკოვანი) წარმოების განვითარება.

პროგრამის მიზანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები მოსახლეობისა და სამეგრელოს რეგიონში მცხოვრებ დევნილების შემოსავლების ზრდა და შესაბამისად, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (კაკლოვანი და კურკოვანი) მაღალშემოსავლიანი ნერგების პოპულარიზაციისა და უზრუნველყოფის გზით.

5.1.21. „დევნილი მეფუტკრეების პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და მათი გაძლიერება“ (პროგრამული კოდი 18 09 04 - გადავიდა პროგრამულ კოდზე 18 07 19)

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი განსახლებულია რეგიონებში. მათი შემოსავლის ერთ-ერთ ძირითადად წყაროს წარმოადგენს აგრარული საქმიანობა, მათ შორის თაფლისა და მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია.

მეფუტკრეობა აფხაზეთში ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით კარგად იყო განვითარებული, არაერთი ადგილობრივი მცხოვრები დასაქმებული იყო მაღალი ხარისხის თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქციის წარმოებით. დევნილობის საწყის პერიოდში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არ ქონის გამო დევნილმა მეფუტკრეებმა ვერ შეძლეს პროფესიული საქმიანობის გაგრძელება. ეტაპობრივად ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ და სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგად მეფუტკრეობის დარგმა მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა, მათ შორის გაიზარდა დევნილ მეფუტკრეთა რაოდენობა. ევროპასთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროპის ბაზარზე ქართული თაფლის დაშვების პერსპექტივებმა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ამ პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს, დამატებითი სტიმული მისცა დარგის განვითარებას.

მეფუტკრეობის დარგში მნიშვნელოვანი პროგრესის განაპირობა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მნიშვნელოვანმა ფინანსურმა მხარდაჭერამ, თუმცა



მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს და ამ კუთხით დონორი ორგანიზაციების ჩართულობა იძლევა საშუალებას უფორ ხელშესახები შედეგები მივიღოთ.

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდება დასავლეთ საქართველოში აფხაზეთიდან დევნილ მეფუტკრეთა მხარდაჭერის პროგრამა, რომლის სამიზნედ ძირითადად შერჩულ იქნა გურიის, სამეგრელოს და ქვემო ქართლის რეგიონები: ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, წალენჯიხის და გარდაბნის მუნიციპალიტეტები, სადაც არის დევნილთა კომპაქტური დასახლებები, ხოლო აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე-კოდორის ხეობის სოფლები. პროექტის ბენეფიციარები შეიძენენ და გაიუმჯობესებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს და საკუთარი მეურნეობების განვითარების მიზნით მიიღებენ მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას.

5.1.22. „შავი ზღვის სანაპირო ზოლის ოკუპირებული აფხაზეთის მონაკვეთზე ანთროპოგენიული ზემოქმედების შედეგების ანალიზი, მართვის სტრატეგია და სენსიტიურ უბნებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მეთოდები“- (პროგრამული კოდი 18 03 02) გადავიდა პროგრამულ კოდი 18 07 20)

სანაპირო ზონის მორფოდინამიკურ წონასწორობის რეანიმაციის შესაძლებლობის მოძიება ლითოდინამიკური პროცესების მართვის გზით ყოველი დინამიკურ რაიონის ფარგლებში. დასმული ამოცანის გადაწყვეტა ითვალისწინებს პლაჟმგები ნაშალი მასალის ბიუჯეტის ბალანსირება ის მიღწევას და მის შემდგომ შენარჩუნებას ყველა ქვესისტემაში. ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნას ისტორიულ წარსულში არსებული ლითოდინამიკური პირობების ხელოვნურად შექმნის გზით.

5.1.23. „დევნილთა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საინფორმაციო – საკონსულტაციო ცენტრი (პროგრამულ კოდი 18 07 21)

პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის სოფელ რუხში, ადმინისტრაციულ საზღვართან საინფორმაციო – საკონსულტაციო ცენტრის მოწყობა – ფუნქციონირებას, რომელიც მოემსახურება სამეგრელოს რეგიონში განთავსებულ დევნილებს და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას.

5.1.24. „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალის რაიონი) მცხოვრები სტიქიური უბედურებით (ხანძარი) დაზარალებული მოსახლეობის მხარდაჭერა“(პროგრამულ კოდი 18 07 22)

2021 წლის დასაწყისში აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალის რაიონი) ხანძრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, განსაკუთრებით მრავალწლიანი (თხილის) ბაღები. არსებული რეალობის გათვალისწინებით სტიქიამ კიდევ უფრო დაამძიმა ჩვენი თანამოქალაქეების ისედაც არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აფხაზეთის ა/რ მთავრობამ განახორციელა დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პირველი ეტაპი, თუმცა მნიშვნელოვანია ზარალის გათვალისწინებით გაგრძელდეს მათი შემდგომი მხარდაჭერა. აღნიშნული მხარდაჭერა განხორციელდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

5.2. სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 18 06)

მეწარმე სუბიექტების კოორდინაცია, სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა, მეწარმეთა ინტერესების დაცვისა და მათი საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებს შორის სავაჭრო, სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების დამყარებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა.

5.3. ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის“ (პროგრამული კოდი 18 10)

სახელმწიფოს (მათ შორის აფხაზეთის ა/რ-ის) და კერძო სექტორის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, საზოგადოების მონაწილეობით საქართველოში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები და ასევე სხვა იურიდიული და



ფიზიკური პირებისათვის, ნებისმიერი კანონიერი გზით, დახმარების გაწევა მეწარმეობის განვითარებასა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში;

სოციალური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვის, სპორტის, კულტურის, განათლებისა და ბუნების დაცვის სფეროებში სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.

საჭიროების მქონე პირებისათვის სოციალური და ჰუმანიტარული სახის მხარდაჭერა.

5.4. სსიპ „აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტო“ (პროგრამული კოდი 18 11 01)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული (უძრავ/მოძრავი) ქონების მართვა განკარგვა: სარგებლობაში გადაცემა, იჯარის ფორმით გაცემა, პრივატიზაციაზე ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანა, სარგებლობაში გადაცემა, ჩამოწერა განადგურება და სხვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მართვა და პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება.

5.4.1. ოკუპირებულ აფხაზეთის ა.რ ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების საკადასტრო აღწერა“ (პროგრამული კოდი 18 11 02)

ოკუპირებულ აფხაზეთში განთავსებულ სახელმწიფო უძრავ ქონებაზე საქართველოს და აფხაზეთის არც ერთ უწყებას არ გააჩნია სრულყოფილი მასალა. არ არსებობს საკადასტრო რუქები და ნახაზები, ასევე არსებობს იმის საშიშროება, რომ დღეის მდგომარეობით აღნიშნული სახელმწიფო ქონება განადგურებულია.

პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მომზადებული იქნება აუცილებელი პირველადი მასალა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების აღრიცხვა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაცია.

5.4.2. სსიპ „აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტო“-ს მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (შპს) მარკეტინგული მომსახურება (პროგრამული კოდი 18 11 03)

პროექტი ითვლისწინებს თანამედროვე და ინოვაციური მარკეტინგული სისტემის დანერგვას სსიპ „აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტო“-ს მართვაში მყოფ კომპანიებში. რაც გულისხმობს, როგორც ციფრული ასევე ტრადიციული მარკეტინგის გამოყენებით პოლიკლინიკების კონკურენტუნარიანობის ზრდას ადგილობრივ კერძო კომპანიებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე აქტიურად იყენებენ მსგავსი ტიპის მარკეტინგულ სტრატეგიებს.

5.5.1. დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში კომპლექსური კვლევების განხორციელება, გასატარებელი ღონისძიებების დასახვა და სადებიზინფექციო სამუშაოების ჩატარება.(პროგრამული კოდი 18 03 03) გადავიდა პროგრამულ კოდი 11 13 02)

პროექტი ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით არსებული კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტთა კადასტრული ხასიათის ინფორმაციული სისტემის შექმნას (რუკა) და მოპოვებული ინფორმაციის შედეგად მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის ფორმირებას. ამ ორი კომპონენტის დანერგვა ყველა დაინტერესებულ მხარეს მისცემს შესაძლებლობას ეფექტურად დაგეგმოს პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული აქტივობები, სწორად დაგეგმოს პოლიტიკა და ადვილად იქნეს მიღწეული გაზომვადი შედეგი. საჭიროების შემთხვევაში არაპრივატიზებული დევნილთა განსახლების ობიექტების მდგრადების შესწავლა შესაბამისი ექსპერტიზის ბიუროს მიერ.

დევნილთა განსახლების ობიექტებში პანდემიისაგან დაცვის ღონისძიებების გატარება.

დევნილთა განსახლების ობიექტებში სადებიზინფექციო სამუშაოების ჩატარება გეგმიურად და



დამატებით საჭიროებების მიხედვით.

5.5.2. ქართულ-აფხაზური თანამშრომლობის ფორმატში რეგიონში მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 18 03 04) (ამოღებულია)

5.5.3. დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 18 03 05) გადავიდა პროგრამულ კოდი 11 13 03)

პროექტის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დევნილთა 150 კომპაქტურ ჩასახლებაში შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის მათ საერთო სარგებლობაში არსებული ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემა. შერჩეულ 80 ობიექტზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო სარგებლობის ფართების აზომვა, შემდგომი რეგისტრაციის მიზნით. აზომვით ნახაზებზე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დატანა, რადგან დღევანდელი მდგომარეობით უმრავლეს შემთხვევაში ვერ დგინდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, თუ შენობის რომელ ნაწილში გადაეცა ბინა დევნილ ოჯახს, რაც, მათ პრობლემას უქმნით მესაკუთრის მიმართ მინიჭებული უფლებების გამოყენებაში. წინა წლებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

დევნილთა განსახლების ობიექტებში წითელი ხაზების კორექტირების მიზნით საკადასტრო აზომვითი სამუშაოების განხორციელება.

5.5.4. „დევნილთა სამართლებრივი დახმარება-ადვოკატირება“ (პროგრამული კოდი 11 13 04)

პროგრამა მიზნად ისახავს: ა) დევნილი ბენეფიციარების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა; ბ) საკუთარი უფლებების ადვოკატირების მიზნით, დევნილი ბენეფიციარებისათვის სამართლებრივად სწორი და საჭირო ინფორმაციის მიწოდება; გ) დევნილთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა/ადვოკატირება; დ) "იძულებით გადაადგილებულ პირთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ეროვნული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით სტრატეგიული სამართალწარმოების უზრუნველყოფა".

6. ინსტიტუციური განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია და ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერა(პროგრამების ადმინისტრირება და მართვა)

6.1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აპარატი - (პროგრამული კოდი 01 01)

კანონშემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურება. აუცილებელი ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახელისუფლებო სტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას, აფხაზეთის მომავლის პოლიტიკური სტატუსისა და კონსტიტუციური საფუძვლების შემუშავებას. მჭიდრო საქმიანი კავშირების დამყარება ქვეყნის საკანონმდებლო და ცენტრალურ აღმასრულებელ სტრუქტურებთან. საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებისათვის სწორი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღრიცხვა, ამ უფლებების დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე. აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება. აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების და აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემების გადაწყვეტაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ჩართულობის ხარისხის ამაღლება. შერიგებისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებაში აქტიური მონაწილეობა. გამომდინარე იქიდან, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გრძელდება ქართველთა ეთნიკური წმენდა, იკრძალება სწავლა ქართულ ენაზე, ნადგურდება ქართული ისტორიული და კულტურული ძეგლები, გასააქტიურებელია მუშაობა საერთაშორისო კომპეტენტურ ორგანოებთან (გაერო, ევროსაბჭო, ევროკავშირი...) რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ანექსიის მამხილებელი მასალების მოძიება, ობიექტური სინამდვილის გასაჯაროება, სისტემური კონტაქტების უზრუნველყოფა და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება



მეგობარი და წამყვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელებისათვის, მათ პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში, სამოქალაქო სექტორში მხარდამჭერთა მოძიება და მათი დახმარებით სეპარატისტული რეჟიმის არაღიარების პოლიტიკის გააქტიურება. დეოკუპაციის თემის საერთაშორისო პოლიტიკური პროპაგანდის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება.

6.2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნველსაყოფად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება და დევნილი საზოგადოების ინტელექტუალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური რესურსების მობილიზება;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურების აქტიური ჩართულობა კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ დარეგულირებაში;

აფხაზეთში შექმნილ ვითარებასა და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება;

საერთაშორისო თანამეგობრობის, პოლიტიკური და სამეცნიერო-აკადემიური წრეებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საერთაშორისო კონფერენციებისა და მედიაფორუმების ორგანიზება, სამუშაო პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების, მეცნიერებისა და ექსპერტების ფართო სპექტრის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ იმპლემენტაციის პროცესში;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა დევნილთა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

6.3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო“ (პროგრამული კოდი 02 04 - გადავიდა პროგრამულ კოდზე 19 04).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმის მართვის, საქმის წარმოების სრულყოფისა და საარქივო ფონდის განვითარების მიზნით:

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის შევსება დოკუმენტებით მატერიალური სახით, საარქივო ფონდის დოკუმენტების ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება;

– აფხაზეთის საარქივო ფონდის დოკუმენტების, განურჩევლად მათი შენახვის ადგილისა (მათ შორის აფხაზეთის საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების), აღრიცხვის, დაცვისა და შენახვის, აგრეთვე საქმისწარმოებაში არსებული წესების დაცვის კონტროლი და ზედამხედველობა;

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობა;

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებათა არქივებისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის სრულყოფა, კოორდინაცია, ნორმატიული და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა;

– აფხაზეთის საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე პერსპექტიულ-მიზნობრივი პროგრამებისა და მიმდინარე გეგმების შემუშავება.

აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ინფორმაციის სისტემატიზაცია, არსებული და შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალის მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა.



6.4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (პროგრამული კოდი 05 01)

- დევნილი მოსახლეობის სამედიცინო დაწესებულებების მიერ მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების რეჟიმში გადამზადების პროგრამებსა და სხვადასხვა სამედიცინო ტრენინგებში ჩართვის ხელშეწყობა;
- ქვეყანაში აღიარებული პრიორიტეტული მიმართულებებით პროგრამების შემუშავება და შესაბამისად, დევნილი მოსახლეობისათვის პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- სამედიცინო დაწესებულებათა მოქმედ ფედერალურ პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- დევნილი მოსახლეობის სამედიცინო აქტივობის (სამედიცინო ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ) დაწესებულებებში მიმართვები) ამაღლება;
- მოსახლეობაში სამედიცინო (სანიტარულ-ჰიგიენური) განათლების გავრცელების ხელშეწყობა; ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;
- ინტენსიური თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დევნილთა სამედიცინო და სოციალური დახმარების ასპექტში;
- დევნილი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა მათი უფლებებისა (ჯანმრთელობის დაცვის სფეროში) და მოქმედი სამედიცინო და სოციალური დახმარების შესახებ.

6.5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო (პროგრამული კოდი 06 01)

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ზოგადი განათლების სფეროში და სამშვიდობო განათლების პოლიტიკის განხორციელება აფხაზეთის საჯარო სკოლებში და დევნილ ახალგაზრდებში, ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელშეწყობა ეროვნული შეფასებების განხორციელებაში. ოკუპირებული ტერიტორიის პედაგოგებისათვის საგნობრივი ტრენინგების პროგრამების განხორციელება, საგანმანათლებლო რესურსცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა;

სამშვიდობო განათლების, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლების და მთელი ცხოვრების განმავლობაში საბაზო კომპეტენციების დაუფლების პროგრამების განხორციელებაზე ხელშეწყობა;

ინოვაციური პროგრამების განხორციელებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზოგადოებრივ ასოციაციებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;

პროფესიული ხელოვნების დარგების (თეატრი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, კინო, ქორეოგრაფია) განვითარების სტრატეგიის შემუშავება, პროფესიონალ შემოქმედთა, ინდივიდუალურ შემსრულებელთა და შემოქმედებითი კოლექტივების (საგასტროლო და საკონცერტო, საკონკურსო და საფესტივალო, საგამოფენო და ა.შ.) მოღვაწეობა, ხელშეწყობა და მოღვაწეობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;

კულტურულ - გასართობი და შემეცნებითი პროექტების განხორციელება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური ჩართულობისა და ინტეგრაციის მიზნით. ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა. დევნილ ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მხარდაჭერა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა;

ლიტერატურული და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობისა და ამ მიზნით პროგრამების,



წინადადებების, გეგმების შემუშავება, ხალხური ხელოვნების დანერგვის (ქორეოგრაფია, მუსიკა, თეატრი, სახვითი ხელოვნება, ზეპირსიტყვიერება, ხალხური რეწვა, ფოლკლორი) დაცვა-განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

აფხაზეთის ძირძველი მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ამ მიზნით სპეციალური გამოცემების, ვებ-გვერდების, ფილმების მომზადება;

შესაძლებლობების ფარგლებში აფხაზეთში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებათა განხორციელება და მათი ხელშეწყობა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, მისი შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მეთოდოლოგიის შემუშავება;

სამშვიდობო განათლებისა და კულტურის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის ორგანიზება-კოორდინაციაზე ზრუნვა;

სამინისტროს მართვის სფეროში ინფორმაციული სისტემების დანერგვის ხელშეწყობი პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ბავშვთა და ახალგაზრდების საქმეთა სფეროში სამთავრობო პოლიტიკის

განხორციელების კოორდინაცია;

სამინისტროს საინფორმაციო საჭიროებებიდან გამომდინარე, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზის დადგენა.

6.5.1. ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02)

6.5.2. გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი (პროგრამული კოდი 06 03)

რესურს-ცენტრების მიზანია განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რესურს-ცენტრი ახორციელებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების კვლევასა და ზედამხედველობას;

კონტროლს უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, პროფესიულ და საგანმანათლებლო – სააღმზრდელო დაწესებულებებში;

წარუდგენს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს რეკომენდაციებს და წინადადებებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, აგრეთვე საჯარო სკოლების, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო – სააღმზრდელო დაწესებულებების დაფუძნების შესახებ;

ხელს უწყობს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ენების –ქართულისა და აფხაზურის- განვითარებისა და გავრცელების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების, სპეციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას სამოქმედო ტერიტორიაზე;

ახორციელებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების



მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ მონაცემთა შეგროვებას და დამუშავებას;

ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

6.6. ზემო აფხაზეთში – აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა (პროგრამული კოდი 08 01)

საზოგადოების ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფისთვის -იგპ-თათვის ზემო აფხაზეთიდან დევნილებისთვის რეალობად იქცა მძიმე სოციალური მდგომარეობა,უმუშევრობა,დაბალი შემოსავლები,რომელთა შესწავლისა და სისტემატიზაციის შემდეგ შესაბამისი პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია სოციალურად დაუცველი დევნილების მატერიალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

6.7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო (პროგრამული კოდი 11 01)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, შეფასება და მათთვის შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების გაწევა მიზნად ისახავს დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, მათი ფსიქოლოგიური ფონის გაუმჯობესებას.

კომპაქტური განსახლების ობიექტებში განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლისა და ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოების მონიტორინგი;

დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მიმდინარე სარემონტო – სარეაბილიტაციო სამუშაოების ადგილზე შესწავლა, ინფორმაციის დამუშავება-ანალიზი და ზემდგომი ორგანოებისთვის მიწოდება; აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობისათვის სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამებზე გადაწყვეტილების მიმღები კომისიების საქმიანობის კოორდინაცია;

აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოქალაქეების სამხედრო-სავალდებულო და სამხედრო-სარეზერვო სამსახურში აღრიცხვა-გაწვევის ორგანიზაციების მოქცევა კანონმდებლობის ჩარჩოში.

6.8. აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო (პროგრამული კოდი 18 01)

- საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა და გამჭვირვალობა;
- საბიუჯეტო დაწესებულებებში საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის გამკაცრება;
- აღებული ვალდებულებების სრულყოფილად დაფინანსება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობა შემოსავლების დამატებითი წყაროების მოძიების მიზნით, რათა ბიუჯეტში გაიზარდოს სოციალური პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი;
- ხაზინის მეშვეობით აფხაზეთის ბიუჯეტიდან სახსრების გაცემა, შემოსავლებისა და ხარჯების ოპერატიული კონტროლის დაწესება კანონმდებლობის შესაბამისად;
- დაწესებულებათა საფინანსო სამსახურებისათვის შესაბამისი მეთოდური მითითებებისა და ლიტერატურის მიწოდება, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება;



– მხარჯავი დაწესებულებების მიერ შესყიდვების განხორციელებისას კონტროლის დაწესება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

სტატისტიკური ანგარიშების მიღება - დამუშავება, სტატისტიკური ბიულეტენებისა და კრებულების გამოშვება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ ყოველკვარტალური და წლიური ანალიტიკური ბარათების მომზადება დარგთა ჭრილში;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი ქონებისა (უძრავ-მოძრავი) და წილების - აქციების მართვა, განკარგვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან ურთიერთობის გაღრმავება იგპ-თა სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

6.9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივ ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 18 02) (ლიკვიდირებულია)

აფხაზეთის ეკონომიკის დარგების მდგომარეობის ანალიზი, ურბანული დაგეგმარების, სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის, არქიტექტურული და სამშენებლო-საინჟინრო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების მეთოდური ხელმძღვანელობა, აფხაზეთიდან დევნილებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკონომიკის დარგების განვითარების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი.

6.10. სსიპ - „აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო“- (პროგრამული კოდი 18 03 01) გადავიდა პროგრამულ კოდი 11 13 01)

აფხაზეთის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მონიტორინგი;

აფხაზეთის გეოლოგიური ფონდური მასალის სისტემატიზაცია და ანალიზი;

მინერალური რესურსების საბადოების ეკონომიკური შეფასება;

გეოინფორმაციული პაკეტების შექმნა და მინერალური რესურსების უკანონო მოპოვების მონიტორინგი თანამედროვე დისტანციური მეთოდებით.

6.11. სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტო“ (პროგრამული კოდი 18 07 01)

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, როგორც უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონის მნიშვნელოვნად შემცირების ქმედითი ინსტრუმენტი. შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და ღირსეული შემოსავლებით უზრუნველყოფა მოითხოვს სხვადასხვა დონეზე სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულ და გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებულ ქმედებებს, რაც გულისხმობს ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნას, მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებას და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე ბევრი გაკეთდა ბიზნესის ხელშეწყობისათვის ჯერ კიდევ აქტუალურია ფინანსურ რესურსზე და მატერიალურ-ტექნიკურ აქტივებზე ხელმისაწვდომობა, დაბალ დონეზეა ბიზნესის, განსაკუთრებით მცირეს შემთხვევაში, წარმოების უნარ-ჩვევები. ეს საკითხი ასევე აქტუალურია დევნილ მცირე ან დამწყები მეწარმეებისათვის.

პროგრამის მიზანია დევნილთა მცირე ბიზნესის, მათ შორის აგრარული მიმართულებით მხარდაჭერა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური მცირე აქტივებით უზრუნველყოფის გზით.

პროგრამის სამიზნე ჯგუფია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები დევნილი ქალი და ახალგაზრდა



მეწარმეები, რომელთაც სურთ საკუთარი ბიზნესის განვითარება ისეთ სექტორებში, როგორიცაა - მომსახურების სერვისი, პირველადი აგროპროდუქციის წარმოება და სხვა.

6.12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 18 08)

– გალის რაიონის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლებული, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული დევნილი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში, მათი უზრუნველყოფა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით, შესაძლებლობის ფარგლებში;

– დევნილი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა მცირე ბიზნეს პროექტების შემუშავებაში და მათი პრაქტიკული განხორციელება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების ფინანსური ხელშეწყობით. აგროსასურსათო სექტორში მოსალოდნელი პროექტების შესახებ დევნილთა ინფორმირება, დევნილ მოსახლეობაში არსებული ბიზნეს საქმიანობის მონაცემთა ბაზის შექმნა და მათი სტიმულირება.

– გალის რაიონში მოსახლეობისათვის ვეტერინარული მომსახურების გაწევა, მცენარეთა დაცვის საშუალებების კონტროლი და საკარანტინო ზედამხედველობის გატარება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა წინააღმდეგ ღონისძიებების ჩატარება.

6.13. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 19 01)

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება იუსტიციის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია.

მინისტრის აპარატი, სტრუქტურული ერთეულის - იუსტიციის დეპარტამენტის მეშვეობით უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სამართალშემოქმედებით საქმიანობას, კერძოდ, შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას და სამართლებრივ ექსპერტიზას, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზეთის ავტონომიურის რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს კანონმდებლობასთან და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე სხვა ნორმატიულ აქტებთან. საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, აფხაზეთის საზოგადოების (მათ შორის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების) სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლება, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

„ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა“ და მოქმედი სამთავრობო პროგრამებით განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და გაძლიერების, სახალხო დიპლომატიის გზით „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის მიერ შენარჩუნებული ოჯახური, ნათესაური და პირადი ურთიერთობების წახალისების და გამყარების მიზნით, მინისტრის აპარატი სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის მეშვეობით უზრუნველყოფს სხვადასხვა პროექტების მომზადებას და განხორციელებას.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად მინისტრის აპარატი ახორციელებს როგორც, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარებასთან დაკავშირებით, ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, სისტემატიზაციას, სტატისტიკური ანგარიშების მომზადებას, ანალიზს და ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ ბანკში განთავსებას ასევე ინოვაციური მიდგომების ძიების მიზნით სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებების ანალიზსა და წინადადებების შემუშავებას.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მინისტრის აპარატი უზრუნველყოფს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და სამშვიდობო ინიციატივების საკითხებზე შესაბამისი საინფორმაციო საქმიანობის განხორციელებას, თემატური გზავნილების გავრცელების ხელშეწყობას.



თავი VI

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები
მუხლი 14. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები
 განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თანდართული რედაქციით:

ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
	ჯამი:	17947129	19843369	22570615	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	596	574	463	0
	ხარჯები	17317775	19362279	22128975	0
21	შრომის ანაზღაურება	7915905	8130390	9469145	0
22	საქონელი და მომსახურება	3129487	3409279	3947945	0
25	სუბსიდიები	3358368	4687910	4636006	0
26	გრანტები	115582	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	2289278	1934196	2164300	0
28	სხვა ხარჯები	509155	1200504	1911579	0
31	არაფინანსური აქტივები	629354	481090	441640	0
01 00	უმაღლესი საბჭო და მასთან არსებული ორგანიზაციები	2167532	2561420	2912400	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	66	67	66	0
	ხარჯები	2018432	2492920	2895400	0
21	შრომის ანაზღაურება	1395609	1821140	2160000	0
22	საქონელი და მომსახურება	561216	653780	724400	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	57138	0	0	0
28	სხვა ხარჯები	4469	18000	11000	0
31	არაფინანსური აქტივები	149100	68500	17000	0
01 01	უმაღლესი საბჭოს აპარატი	2167532	2561420	2907400	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	66	67	66	0
	ხარჯები	2018432	2492920	2890400	0



21	შრომის ანაზღაურება	1395609	1821140	2160000	0
22	საქონელი და მომსახურება	561216	653780	719400	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	57138	0	0	0
28	სხვა ხარჯები	4469	18000	11000	0
31	არაფინანსური აქტივები	149100	68500	17000	0
01 02	ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	0	0	5000	0
	ხარჯები	0	0	5000	0
22	საქონელი და მომსახურება	0	0	5000	0
02 00	მთავრობის აპარატი და მასთან არსებული ორგანიზაცია სულ	2150386	2423778	2650073	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	81	60	60	0
	ხარჯები	2022092	2293058	2505680	0
21	შრომის ანაზღაურება	1231457	1296300	1327500	0
22	საქონელი და მომსახურება	683006	554420	567030	0
25	სუბსიდიები	0	429738	602850	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	100758	0	0	0
28	სხვა ხარჯები	6871	12600	8300	0
31	არაფინანსური აქტივები	128294	130720	144393	0
02 01	მთავრობის აპარატი	1551782	1862650	2000200	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	51	52	52	0
	ხარჯები	1542910	1746650	1875900	0
21	შრომის ანაზღაურება	1011337	1194300	1302000	0
22	საქონელი და მომსახურება	451570	544750	565600	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	76758	0	0	0
28	სხვა ხარჯები	3245	7600	8300	0
31	არაფინანსური აქტივები	8872	116000	124300	0
02 02	მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო. აპარატი	567610	0	0	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	22	0	0	0
	ხარჯები	448187	0	0	0
21	შრომის ანაზღაურება	191329	0	0	0
22	საქონელი და მომსახურება	229232	0	0	0



27	სოციალური უზრუნველყოფა	24000	0	0	0
28	სხვა ხარჯები	3626	0	0	0
31	არაფინანსური აქტივები	119423	0	0	0
02 04	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო“.	30994	112790	26930	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	8	8	8	0
	ხარჯები	30994	111670	26930	0
21	შრომის ანაზღაურება	28790	102000	25500	0
22	საქონელი და მომსახურება	2204	9670	1430	0
31	არაფინანსური აქტივები	0	1120	0	0
02 05	ა(ა)იპ „სულიერების ცენტრი“	0	169600	225340	0
	ხარჯები	0	167900	222940	0
25	სუბსიდია	0	162900	222940	0
28	სხვა ხარჯები	0	5000	0	0
31	არაფინანსური აქტივები	0	1700	2400	0
02 06	ა(ა)იპ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი“	0	278738	397603	0
	ხარჯი	0	266838	379910	0
25	სუბსიდია	0	266838	379910	0
31	არაფინანსური აქტივები	0	11900	17693	0
05 00	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სულ	1567465	2066025	2438750	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	30	30	28	0
	ხარჯები	1492905	2050725	2438750	0
21	შრომის ანაზღაურება	408103	423900	537850	0
22	საქონელი და მომსახურება	156846	345825	212400	0
25	სუბსიდია	0	0	100000	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	896439	889696	1324000	0
28	სხვა ხარჯები	31517	391304	264500	
31	არაფინანსური აქტივები	74559	15300	0	0
05 01	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აპარატი	650923	591025	733750	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	30	30	28	0



	ხარჯები	576363	575725	733750	0
21	შრომის ანაზღაურება	408102	423900	537850	0
22	საქონელი და მომსახურება	156846	150825	194400	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	8635	0	0	0
28	სხვა ხარჯები	2780	1000	1500	0
31	არაფინანსური აქტივები	74559	15300	0	0
05 02	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურად დაუცველ პირთა (მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა და ხანდაზმულთა) სათემო ცენტრი	0	65000	0	0
	ხარჯები	0	65000	0	0
28	სხვა ხარჯები	0	65000	0	0
05 03	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა	485114	393065	380000	0
	ხარჯები	485114	393065	380000	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	485114	393065	380000	0
05 04	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა	107732	96000	26000	0
	ხარჯები	107732	96000	26000	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	107732	96000	26000	0
05 05	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამა	69531	23870	0	0
	ხარჯები	69531	23870	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	46993	18566	0	0
28	სხვა ხარჯები	22538	5304	0	0
05 06	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	254165	887065	1064000	0
	ხარჯები	254165	887065	1064000	0
22	საქონელი და მომსახურება	0	185000	13000	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	247965	382065	918000	0
28	სხვა ხარჯები	6200	320000	133000	0
05 07	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამა	0	10000	5000	0



	ხარჯები	0	10000	5000	0
22	საქონელი და მომსახურება	0	10000	5000	0
05 08	ა(ა)იპ აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტო სულ	0	0	230000	0
	ხარჯები	0	0	230000	0
25	სუბსიდიები	0	0	100000	0
28	სხვა ხარჯი	0	0	130000	
05 08 01	ა(ა)იპ აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტო	0	0	100000	0
	ხარჯები	0	0	100000	0
25	სუბსიდიები	0	0	100000	0
05 08 02	აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების (მათ შორის კოვიდ-სტაციონარების) მედიკამენტებით მხარდაჭერა	0	0	45000	0
	ხარჯები	0	0	45000	0
28	სხვა ხარჯი	0	0	45000	0
05 08 03	„ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურება“	0	0	42000	0
	ხარჯები	0	0	42000	0
28	სხვა ხარჯი	0	0	42000	0
05 08 04	„სარიტუალო მომსახურების ანაზღაურება“	0	0	20000	0
	ხარჯები	0	0	20000	0
28	სხვა ხარჯი	0	0	20000	0
05 08 05	„ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა“	0	0	23000	0
	ხარჯები	0	0	23000	0
28	სხვა ხარჯი	0	0	23000	0
06 00	განათლებისა და კულტურის სამინისტრო სულ	4344989	3771470	4105550	0
ექ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	62	63	55	0
	ხარჯები	4275413	3767320	4097250	0



21	შრომის ანაზღაურება	849584	867700	973035	0
22	საქონელი და მომსახურება	372212	251650	387894	0
25	სუბსიდიები	2432769	2125200	2078561	0
26	გრანტები	106782	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	361333	360000	343300	0
28	სხვა ხარჯები	152733	162770	314460	0
31	არაფინანსური აქტივები	69576	4150	8300	0
06 01	განათლებისა და კულტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	1032452	909200	981170	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	49	50	42	0
	ხარჯები	1027935	907800	979170	0
21	შრომის ანაზღაურება	712651	732100	785435	0
22	საქონელი და მომსახურება	225402	174700	187935	0
25	სუბსიდიები	6723	0	0	
26	გრანტები	60000	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	21359	0	0	0
28	სხვა ხარჯები	1800	1000	5800	0
31	არაფინანსური აქტივები	4517	1400	2000	0
06 02	ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი	54970	55450	71000	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	5	5	5	0
	ხარჯები	54970	54150	71000	0
21	შრომის ანაზღაურება	53946	52800	69900	0
22	საქონელი და მომსახურება	1024	1350	1100	0
31	არაფინანსური აქტივები	0	1300	0	0
06 03	გალის რაიონის რესურსცენტრი	139856	134470	161490	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	8	8	8	0
	ხარჯები	138931	133020	159690	0
21	შრომის ანაზღაურება	82987	82800	117700	0
22	საქონელი და მომსახურება	53211	50100	41840	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	2625	0	0	0
28	სხვა ხარჯები	108	120	150	0



31	არაფინანსური აქტივები	925	1450	1800	0
06 04	განათლების ხელშეწყობის პროგრამა	213838	153150	201510	0
	ხარჯები	213838	153150	201510	0
22	საქონელი და მომსახურება	30325	0	0	0
25	სუბსიდიები	39480	25000	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	21000	20000	8500	0
28	სხვა ხარჯები	123033	108150	193010	0
06 04 01	სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება	51890	25000	35000	0
	ხარჯები	51890	25000	35000	0
25	სუბსიდიები	35504	25000	0	0
28	სხვა ხარჯები	16386	0	35000	0
06 04 02	წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა	102301	105000	121500	0
	ხარჯები	102301	105000	121500	0
28	სხვა ხარჯები	102301	105000	121500	0
06 04 03	„კარიერის დაგეგმვა, პროფესიული ორიენტაცია და სახელობო სწავლება სკოლებში“	3863	0	0	0
	ხარჯები	3863	0	0	0
22	საქონელი და მომსახურება	3863	0	0	0
06 04 07	„საზაფხულო ბანაკი“	15999	0	0	0
	ხარჯები	15999	0	0	0
22	საქონელი და მომსახურება	15999	0	0	0
06 04 11	„დამატებითი (არზაყან) ემუხვარისა და ჭიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“	3446	1650	3300	0
	ხარჯები	3446	1650	3300	0
28	სხვა ხარჯები	3446	1650	3300	0
06 04 12	აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია	900	1500	2850	0
	ხარჯები	900	1500	2850	0
28	სხვა ხარჯები	900	1500	2850	0
06 04 14	შეხვედრები: 1. ღვაწლმოსილ პედაგოგებთან 2. მედალოსან კურსდამთავრებულებთან 3. წარმატებულ სტუდენტ - ახალგაზრდობასთან	1183	0	3150	0
	ხარჯები	1183	0	3150	0
28	სხვა ხარჯები	1183	0	3150	0



06 04 15	თანაბარი შესაძლებლობები თანაბარი მზრუნველობა	5281	0	6000	0
	ხარჯები	5281	0	6000	0
28	სხვა ხარჯები	5281	0	6000	0
06 04 17	აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა	21000	20000	17500	0
	ხარჯები	21000	20000	17500	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	21000	20000	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	17500	0
06 04 18	სამოქალაქო განათლება- აქტიურ მოქალაქეთა პროგრამა	3976	0	0	0
	ხარჯები	3976	0	0	0
25	სუბსიდიები	3976	0	0	0
06 04 19	ვიცნობდეთ ქვეყნის გმირებს	3999	0	0	0
	ხარჯები	3999	0	0	0
22	საქონელი და მომსახურება	3999	0	0	0
06 04 20	„ონლაინ საკვირაო სკოლა“	0	0	12210	0
	ხარჯები	0	0	12210	0
28	სხვა ხარჯები	0	0	12210	0
